2018 წლიური ანგარიში



საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

ცესკო
საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საქმიანობის **2018 წლის ანგარიში**

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია



ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

ცენტრალური საარჩევნო კომისია

მის: საქართველო, თბილისი

დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ

ტელ: +995 32 2 51 00 51

ვებგვერდი: www.cesko.ge

დოკუმენტი მომზადებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) სტრუქტურული ერთეულებისა და სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (სწავლების ცენტრი) მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე

6
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წერილი

8
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

12
შესავალი

14
მოკლე აღწერა

102
დასკვნა

20
სტრატეგიული პრიორიტეტი 1: ინსტიტუციური გაძლიერება
21 მიზანი 1. ეფექტური მართვის უზრუნველყოფა
31 მიზანი 2. ადამიანური რესურსების განვითარება
39 მიზანი 3. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
45 მიზანი 4. იმიჯის განმტკიცება

50
სტრატეგიული პრიორიტეტი 2:
სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება
51 მიზანი 1. სამოქალაქო და ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება
60 მიზანი 2. საარჩევნო კულტურის განვითარება
67 მიზანი 3. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა

74
სტრატეგიული პრიორიტეტი 3: საარჩევნო გარემო
75 მიზანი 1. სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწაში მონაწილეობა
78 მიზანი 2. არჩევნების მთლიანობის (Integrity) უზრუნველყოფა
83 მიზანი 3. ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა
86 მიზანი 4. გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა

90
სტრატეგიული პრიორიტეტი 4: საარჩევნო ოპერაციები
91 მიზანი 1. არჩევნების ორგანიზება/ჩატარება
93 მიზანი 2. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება
96 მიზანი 3. არჩევნების შედეგების გასაჯაროება უმოკლეს დროში
99 მიზანი 4. ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდება



საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წერილი

ძვირფასო მეგობრებო და საარჩევნო ადმინისტრაციის პარტნიორებო,

წარმოგიდგენთ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს. ეს იყო წელი, როდესაც მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის ბოლო საყოველთაო არჩევნები პირდაპირი წესით. ეს იყო წელი, როდესაც საქართველოს ისტორიაში პირველად გაიმართა პრეზიდენტის არჩევნები ორ ტურად და ეს იყო წელი, როდესაც საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ცესკო) შეუსრულდა 100 წელი. 1918 წლის 22 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს პირველი ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა. საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა თანამშრომლისთვის საამაყოა ემსახუროს დემოკრატიის იდეალებს და გააგრძელოს საქმე, რომელიც საუკუნის წინ დაიწყო.

2018 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, იყო კონკურენტული და კარგად ადმინისტრირებული არჩევნები. კარგად ადმინისტრირებაში იგულისხმება კარგად ჩატარებული კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცესი. ჩვენ ამომრჩევლებს პროფესიონალურად მოვემსახურეთ, თუმცა არის რეკომენდაციები, რომლებსაც აუცილებლად გავითვალისწინებთ. სწორედ ეს არის საარჩევნო ადმინისტრაციის მომავალი გეგმა.

საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგია მიმართულია ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეებისთვის საჭირო

სერვისების შექმნისა და შეთავაზებისკენ, რათა მათ დაუბრკოლებლად შეძლონ საარჩევნო პროცესში ჩართვა და ნების თავისუფლად გამოხატვა. ამ თვალსაზრისით, 2018 წელი მნიშვნელოვანი ცვლილებების წელი იყო. მინდა განსაკუთრებით გამოვყო ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარებასთან დაკავშირებული სიახლეები. საქართველოს არჩევნების ისტორიაში პირველად, 13 მაისს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შუალედური არჩევნების დროს, ხმის დათვლის პროცესში გამოყენებული იქნა ელექტრონული აპარატები საპილოტე პროექტის სახით. ცესკოს ვებგვერდზე ახალგაზრდებისთვის შეიქმნა სპეციალური ბანერი და QR კოდის მობილური აპლიკაციის სკანირებით მათ შეეძლოთ საარჩევნო საკითხებზე ინფორმაციის მიღება. გაფართოვდა ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამის შესაძლებლობები და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის ონლაინ მეთოდის გამოყენებით გამარტივდა სარეგისტრაციო პროცედურები. შეიქმნა და სატელეფონო შეტყობინებების (SMS) სისტემის გამოყენებით საპილოტედ ამოქმედდა, კენჭისყრის დღის ინციდენტების შესახებ ინფორმაციის მყისიერად გადაცემისა და მონიტორინგის სისტემა.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია კამპანიისას საარჩევნო სუბიექტების ქცევის პრინციპების ჩამოყალიბება და ამ სტანდარტებზე შეთანხმება. ცესკოს ფასილიტაციითა და შვეიცარიის მთავრობის ხელშეწყობით, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისა და წარმომადგენლების ჩართულობით შემუშავდა „ეთიკის პრინციპების“ დოკუმენტი. დოკუმენტზე ხელმომწერი პირები შეთანხმდნენ, რომ დაიცავდნენ საქართველოს კანონმდებლობას, იმოქმედებდნენ დემოკრატიული მმართველობის პრინციპებისა და საზოგადოების ინტერესების დაცვით, საქმიანობას აწარმოებდნენ ეთნიკური, რელიგიური, გენდერული თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, არ გამოიყენებდნენ სიძულვილის ენას, ქსენოფობიურ ან მუქარის შემცველ გამონათქვამებს.

2018 წელს, ისევე როგორც წინა წლების განმავლობაში, საარჩევნო ადმინისტრაცია თავის ერთ-ერთ მთავარ მიზნად მიიჩნევდა ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობას. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებსა და შშმ პირებს ჩვენ მრავალფეროვანი სერვისები შევთავაზეთ. ამ მიმართულებით მიღწეული შედეგების დადასტურებაა – საერთაშორისო ჯილდო, რომელიც ცესკოს დანერგილი წარმატებული პრაქტიკისთვის გადაეცა. საერთაშორისო დონეზე აღიარებულ იქნა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ის წარმატებული გამოცდილება, რომელიც უსინათლო ამომრჩევლებს სპეციალური ჩარჩო/ფორმის გამოყენებით დამოუკიდებლად და ფარულად ხმის მიცემის საშუალებას აძლევს.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიღწევები თავდაუზოგავი შრომისა და ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის შედეგია. მინდა ჩემი პატივისცემა გამოვხატო არჩევნებში ჩართული ყველა მხარის მიმართ, რომლებმაც საკუთარი წვლილი შეიტანეს საარჩევნო პროცესში. დამოუკიდებელი დამკვირვებლების, მედიისა და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა, დიდი მხარდაჭერაა საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად.

2018 წელი იყო მნიშვნელოვანი განვითარებისთვის, გვქონდა ახალი გამოწვევებიც, თუმცა შევძელით მათი წარმატებით დაძლევა, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებს გაწეული შრომისა და პროფესიონალიზმისთვის.



თამარ ჟვანია
ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის –„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მისია

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მისიაა მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალპროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული, არჩევნების ჩატარება, კანონმდებლობის დაცვით და ყველა პირობის შექმნა, რათა ამომრჩევლებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა თავისუფლად, განახორციელონ საარჩევნო უფლებები.

ხედვა

საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომ, საარჩევნო სერვისებს და საარჩევნო პროცესის მთლიანობას, საზოგადოებაში სარგებლობს მაღალი ნდობით, თავის საქმიანობაში, მუდმივად, ნერგავს ინოვაციებს და საარჩევნო გარემოს განვითარებაზე ორიენტირებულ ინიციატივებს.

საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მართვის ეფექტურობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული შესაძლებლობების მუდმივ ზრდას.


40%
60%
10%
35%
70%

საარჩევნო ადმინისტრაციის საერთაშორისო აღიარება

ინოვაციური პრაქტიკა 2019

ავსტრიული ორგანიზაციის – იესელის ფონდის (Essl Foundation) მიერ ინიცირებული პროექტის (Zero Project) ფარგლებში, ცესკო დაჯილდოვდა ნომინაციაში „ინოვაციური პრაქტიკა 2019“ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში წარმატებული პრაქტიკის – უსინათლო ამომრჩევლებისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის დანერგვისთვის.

ჯო სი ბაქსტერის ჯილდო 2017

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა, საარჩევნო პროცესების განვითარების ხელშეწყობისთვის, დააჯილდოვა ცესკოს თავმჯდომარე, თამარ ჟვანია და გადასცა მას ჯო სი ბაქსტერის ჯილდო.

საერთაშორისო საარჩევნო ჯილდოები 2013–2017

საპარლამენტო სწავლების საერთაშორისო ცენტრის (ICPS) მიერ ორგანიზებულ, საერთაშორისო საარჩევნო სიმპოზიუმის ფარგლებში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, სხვადასხვა წლებში, მიიღეს შემდეგი საერთაშორისო საარჩევნო ჯილდოები:

საერთაშორისო საარჩევნო ჯილდო 2017

ცესკო დაჯილდოვდა ორ ნომინაციაში:
„მოქალაქეთა ჩართულობა“ – ინოვაციური პროექტისთვის
„ვესაუბრებით ამომრჩევლებს“.
„საარჩევნო კონფლიქტების მართვა“ – არჩევნების უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული პროექტისთვის.

საერთაშორისო საარჩევნო ჯილდო 2016

ცესკო დაჯილდოვდა ნომინაციაში – „უმცირესობების ჩართულობა“.

საერთაშორისო საარჩევნო ჯილდო 2015

ცესკო დაჯილდოვდა ნომინაციაში „არჩევნების მართვა“ – ინოვაციური პროგრამისთვის – „საარჩევნო პროცესის მართვის სისტემა „არმასი“.

საერთაშორისო საარჩევნო ჯილდო 2013

სწავლების ცენტრი დაჯილდოვდა ნომინაციაში – „პირველი ამომრჩეველი“ – ახალგაზრდა ამომრჩევლების საარჩევნო კულტურის განვითარების მიმართულებით განხორციელებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტისთვის.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და სწავლების ცენტრი თანამშრომლობისთვის მადლობას უხდიან:

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას გაწეული ფინანსური მხარდაჭერისთვის.

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდს (IFES), თანამშრომლობისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

ევროპის საბჭოს (CoE), სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას გაწეული ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ვენეციის კომისიას, ექსპერტული დახმარებისა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

ევროპის კავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP), ცესკოში არსებული ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (TWG) საქმიანობის ხელშეწყობისთვის.

საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრს (ICPS), საარჩევნო ადმინისტრაციების რიგით მერვე, ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზაციული და ფინანსური მხარდაჭერისთვის.

შვეიცარიის მთავრობას, 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების ეთიკის პრინციპების დოკუმენტის შემუშავების დროს გაწეული მხარდაჭერისთვის.

ასევე, მადლობას უხდიან ყველა ორგანიზაციას და მათ წარმომადგენლებს, რომლებმაც 2018 წლის განმავლობაში, მონაწილეობა მიიღეს ცესკოში შექმნილი მიზნობრივი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში და წვლილი შეიტანეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაში.

ცესკო მადლობას უხდის საარჩევნო ადმინისტრაციის თითოეულ თანამშრომელს პროფესიული სტანდარტებისა და საარჩევნო მოხელის ეთიკის ნორმების შესაბამისად შესრულებული სამუშაოსთვის.

შესავალი

2018 წელს ცესკომ, მისმა აპარატმა და სწავლების ცენტრმა, საქმიანობა წარმართეს, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემდეგი პრიორიტეტების შესაბამისად: ინსტიტუციური გაძლიერება, სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება, საარჩევნო გარემო და საარჩევნო ოპერაციები.

საქმიანობების განხორციელების პროცესში საარჩევნო ადმინისტრაცია ხელმძღვანელობდა გაცხადებული სამოქმედო პრინციპებით: დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა, პროფესიონალიზმი, ანგარიშვალდებულება და ინკლუზიურობა.

2018 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა შემდეგი არჩევნები:

- საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №54 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2018 წლის 28 აპრილის საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები;
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქის №67.27 ცაიშის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2018 წლის 13 მაისის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები;
- საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები (I და II ტური);
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №49 თერჯოლის საარჩევნო ოლქის №49.18 ძევრის თემისა და №54 სამტრედიის საარჩევნო ოლქის №54.01.04 სამტრედიის ქალაქის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, თერჯოლისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების საარჩევნო პროცესის მონიტორინგი განახორციელეს ადგილობრივმა და საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ანგარიშებში, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობამ და კომპეტენციამ, ძირითადად, დადებითი შეფასება დაიმსახურა.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მონიტორინგი განახორციელეს ადგილობრივმა და საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ანგარიშში, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა და კომპეტენცია ძირითადად დადებით შეფასდა და აღინიშნა, რომ ეს იყო კონკურენტული, კარგად ადმინისტრირებული არჩევნები, კერძოდ პოზიტიურად შეფასდა საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული საქმიანობა ყველა დონეზე და აღინიშნა კარგად ჩატარებული კენჭისყრა და ხმის დათვლის პროცესი. დადებით შეფასებებთან ერთად, დამკვირვებელი ორგანიზაციების ანგარიშებში, მოცემულია გარკვეული შენიშვნები, ყურადსაღები საკითხები, რომლებიც შემდგომ მუშაობას მოითხოვს.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დაკვეთით ჩატარებული, საზოგადოებრივი აზრის კვლევის[1] მიხედვით, მოსახლეობამ, 2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, ძირითადად, დადებითად შეაფასა და ასევე, საკმაოდ მაღალი ნდობა გამოუცხადა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეულ საქმიანობას და დათვლილ შედეგებს. გამოკითხულთა საკმაოდ დიდი უმრავლესობა თვლიდა, რომ არჩევნების დღეს, სიტუაცია საარჩევნო უბანზე იყო მოწესრიგებული, არჩევნებზე პასუხისმგებელი პირები კარგად იყვნენ მომზადებულები და უბანი გადაჭედილი არ იყო.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს საქართველოს სარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში განხორციელებული საქმიანობების აღწერას.

1 კვლევა, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით, CRRC-საქართველოს მიერ 2018 წლის 6-20 დეკემბრის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 2 205 პირისპირი ინტერვიუს სახით ჩატარდა.

მოკლე აღწერა

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: ინსტიტუციური გაძლიერება

ეფექტური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, საოლქო საარჩევნო კომისიებში დაინერგა ანგარიშგების სისტემა; განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციისა და ცესკოს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციის შიდა აუდიტი; ჩატარდა, ცესკოს საკუთრებაში არსებული, ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციული სისტემის აუდიტი უსაფრთხოების მიმართულებით; დაიწყო საქმიანობა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO 9001:2015 საერთაშორისო სერტიფიკატის მისაღებად; განახლდა საოლქო საარჩევნო კომისიების ფინანსური მენეჯმენტის ინსტრუქცია; დაინერგა საოლქო საარჩევნო კომისიების ბიუჯეტის ფორმირების ახალი პრაქტიკა; განხორციელდა ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია; ელექტრონული არქივის პროგრამას დაემატა, ელექტრონულ ფორმატში გადაყვანილი, 18 418 დოკუმენტი.

ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 21 საერთაშორისო კონფერენციაში, ტრენინგსა და სამუშაო შეხვედრაში, ასევე საერთაშორისო დამკვირვებლის სტატუსით, დააკვირდნენ 10 ქვეყანაში ჩატარებულ არჩევნებს; ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირების ორი გამოცდა, რომელიც, წარმატებით ჩააბარა 194-მა პირმა; განხორციელდა ცვლილებები და საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიებისა და ცესკოში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციებისთვის, ხელმისაწვდომი გახდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირების გამოცდის წარმატებით ჩაბარებულ პირთა სია; შემუშავდა ახალი სასწავლო პროგრამა – „ტრენერის პროფესიული უნარების განვითარება“, რომლის მიხედვით გადამზადდნენ საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, გაფართოვდა არჩევნების მართვის ელექტრონული სისტემა „არმასი“, სისტემის საშუალებით საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფდა საარჩევნო პროცესთან და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული დიდი მოცულობის ინფორმაციის ერთიან სისტემაში ასახვასა და მართვას; საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის ცესკომ გაზარდა ელექტრონული

რეგისტრაციების პროგრამის შესაძლებლობები. გარდა პარტიების მიერ დანიშნული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისა და ყველა დონის საარჩევნო კომისიებში წევრებისა, რეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, სურვილის შემთხვევაში, დამკვირვებელთა დანიშვნის შესახებ განცხადებების ონლაინ რეჟიმში წარდგენისა და რეგისტრაციის შესაძლებლობა მიეცათ; შეიქმნა და დაინერგა ორი ახალი პროგრამა: სასამართლოს განჩინება სხდომის დანიშვნისა და მესამე პირების ჩაბმის შესახებ და საოლქო საარჩევნო კომისიების სამართლებრივი აქტები; შეიქმნა და საპილოტედ ამოქმედდა კენჭისყრის დღეს ინციდენტების შესახებ მყისიერად გადაცემის და მონიტორინგის სისტემა.

ცესკოს ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულ სატრენინგო ინფრასტრუქტურაში 12 მიმართულებით ჩატარდა 18 სატრენინგო სესია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო, საერთო ჯამში, 1000-ზე მეტმა მონაწილემ; კაპიტალური/მიმდინარე რემონტი ჩაუტარდა 30 საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციულ შენობას.

იმიჯის განმტკიცების მიზნით, ფართოდ აღინიშნა პირველი დემოკრატიული არჩევნების 100 წლისთავი. ღონისძიებები მიეძღვნა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავს; განხორციელდა ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია – „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მყოფი, საქართველოს მოქალაქეებისთვის; პირველად, ახალგაზრდებმა, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, მიიღეს ცესკოს თავმჯდომარის წერილობითი მიმართვა საარჩევნო უფლებისა და არჩევნების მნიშვნელობის შესახებ; ცესკოს ვებგვერდზე, ახალგაზრდებისთვის, შეიქმნა სპეციალური ბანერი და QR კოდის მობილური აპლიკაციით, სკანირების მეთოდით, მათ შეეძლოთ საარჩევნო საკითხებზე, ინფორმაციის მიღება; საქართველოში, ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციების მერვე ყოველწლიური შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 21 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის, 10 საერთაშორისო ორგანიზაციის, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) საელჩოსა და საარჩევნო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული, ოთხი კომპანიის 105-მა წარმომადგენელმა.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება

სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლების მიზნით, განხორციელდა ექვსი საგანმანათლებლო პროექტი, რომლებშიც, საერთო ჯამში, მონაწილეობა მიიღო 9 342-მა პირმა. სასწავლო კურსები ჩაატარეს სპეციალურად მომზადებულმა, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა და საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებმა; პროექტ „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“-ს ფარგლებში, დაინერგა ახალი სასწავლო პროგრამა „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები – პროფილური პროგრამა, საოლქო საარჩევნო კომისიების პოტენციური იურისტებისთვის“; საარჩევნო სამოქალაქო განათლების მიმართულებით, ეტაპობრივად, გაიზარდა სასწავლო პროექტების განხორციელების არეალი და ქვეყნის მასშტაბით, ყველა მუნიციპალიტეტი მოიცვა, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული და მაღალმთიანი რეგიონები.

საარჩევნო კულტურის განვითარების მიზნით, საქართველოს პარლამენტის აპარატს, ცესკოს სწავლების ცენტრსა და სახელმწიფო უწყების 10 საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი საქართველოს პარლამენტის წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისთვის, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის; შეიქმნა ინოვაციური სასწავლო მოდული – „არჩევნების უსაფრთხოების საკანონმდებლო მექანიზმები და საერთაშორისო სტანდარტები“, რომელიც განხორციელდა პოლიციის, მედიის, პარტიების და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის; განხორციელდა ახალი სასწავლო-საინფორმაციო პროექტი „სტუდენტური დებატ-კლუბი“; დაარსდა საარჩევნო ბიბლიოთეკა; სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ცხრაჯერ გაიმართა ღია კარის დღე.

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, ცესკოს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით, სწავლების ცენტრმა, ჩაატარა სამი საგრანტო კონკურსი. სულ დაფინანსდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების 68 პროექტი, დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 2 381 571 ლარი; სხვადსხვა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ჩართული მხარეების ინფორმირებისთვის, ცესკოში გაიმართა ტექნიკური სამუშაო ჯგუფის, ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფების შეხვედრები.

სტრატეგიული პრიორიტეტი 3: საარჩევნო გარემო

სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის მომზადდა განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები, რომელიც, წინადადებების სახით, წარედგინა საქართველოს პარლამენტს; საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, განახლდა სამი სახელმძღვანელო: ადმინისტრაციული რესურსების შესახებ, საარჩევნო დავების და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებისა და ვადაზე ადრე მოხსნის შესახებ (ერთგვაროვანი პრაქტიკის დოკუმენტი); 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 224 წარმომადგენლისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი „სამართლებრივი წერა და საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება“.

არჩევნების მთლიანობის (Integrity) უზრუნველყოფის მიზნით, არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმის შესაბამისად, ცესკოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) შორის, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, არჩევნების დღეს, ხმის მიცემის პროცესის, უსაფრთხო, მშვიდ და თავისუფალ გარემოში ჩატარების ხელშეწყობის შესახებ; სწავლების ცენტრსა და საქართველოს შსს აკადემიას შორის, გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც, ჩატარდა სასწავლო-საინფორმაციო კურსი – „არჩევნები და უსაფრთხოება“. კურსი გაიარა საარჩევნო კომისიების 44 000-მდე წევრმა, ასევე კრიმინალური და საპატრულო პოლიციის, საშუალო და მაღალი მენეჯერული რგოლის, 792-მა წარმომადგენელმა; შემუშავდა დისტანციური სასწავლო პროგრამა, რომელიც, ელექტრონული ფორმით, გაიარა კრიმინალური და საპატრულო პოლიციის 8 000-მდე თანამშრომელმა; ცესკოსა და 30 ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას შორის, ხელი მოეწერა, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის შემუშავებულ, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების ქცევის (ეთიკის) კოდექსს.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, პირველად, ცესკოს ფასილიტაციითა და შვეიცარიის მთავრობის ხელშეწყობით, არჩევნებში მონაწილე კანდიდატებმა და წარმომადგენლებმა, შეიმუშავეს არჩევნებში მონაწილე კანდიდატების „ეთიკის პრინციპების“ დოკუმენტი. დოკუმენტზე ხელმომწერი პირები შეთანხმდნენ, რომ დაიცავდნენ საქართველოს კანონმდებლობას, იმოქმედებდნენ დემოკრატიული მმართველობის პრინციპებისა და საზოგადოების ინტერესების დაცვით, საქმიანობას აწარმოებდნენ ეთნიკური, რელიგიური, გენდერული თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, არ გამოიყენებდნენ სიძულვილის ენას, ქსენოფობიურ ან მუქარის შემცველ გამონათქვამებს.

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, ითარგმნა ყველა საარჩევნო-საინფორმაციო მასალა და ვიდეორგოლი, მათ შორის, სპეციალური რგოლი ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ. ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებს, ემსახურებოდნენ აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი ოპერატორები.

ცესკოს ვებგვერდი ხელმისაწვდომია უსინათლო და მცირემხედველი, ხოლო სწავლების ცენტრის ვებგვერდი – უსინათლო პირებისთვის; საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, შშმ პირების ინფორმირებისთვის, მომზადდა სპეციალური ვიდეორგოლი ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ. ცესკოს მიერ მომზადებული ყველა ვიდეორგოლი, სურდოთარგმანით, განთავსდა ცენტრალური და რეგიონული ტელევიზიების ეთერში; ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორები, ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს, აწვდიდნენ ინფორმაციას საარჩევნო საკითხების შესახებ, ვიდეოზარის მეშვეობით; განახლდა ინსტრუქცია შშმ ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ. ინსტრუქციის მიხედვით, პირველად, მომზადდა ვიდეორგოლი უსინათლო, მცირემხედველი, ყრუ, მობილობის შეზღუდვის მქონე (ეტლით მოსარგებლე), ზედა კიდურების არმქონე და ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირების მონაწილეობით.

გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის ასპექტები აისახა საგანმანათლებლო პროექტების – „არჩევნების და ახალგაზრდა ამომრჩეველი“, „საარჩევნო განვითარების სკოლა“ და „იურიდიული კლინიკა“ სასწავლო მოდულებში, ასევე, რეგიონული და ცენტრალური მედია საშუალებების წარმომადგენელთა ტრენინგ-პროგრამაში; გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია – „გენდერული თანასწორობა არჩევნებში – მეტი ძალისხმევა საარჩევნო ადმინისტრაციების მხრიდან“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შვიდი ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის 13 საერთაშორისო ორგანიზაციისა და ოთხი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის 45-მა წარმომადგენელმა; საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, დამუშავდა და გამოქვეყნდა გენდერული სტატისტიკა.

სტრატეგიული პრიორიტეტი 4: საარჩევნო ოპერაციები

არჩევნების ორგანიზება/ჩატარების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციამ, საარჩევნო პროცესი წარმართა კანონმდებლობის სრული დაცვითა და დამტკიცებული საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის შესაბამისად. საქართველოს პარლამენტს წარედგინა ანგარიშები ჩატარებული არჩევნების შესახებ. გარდა ამისა, ანგარიშები გამოქვეყნდა ცესკოს ვებგვერდზე; კანონმდებლობით განსზღვრული პასუხისმგებელი უწყებებიდან გადმოცემული მონაცემების დამუშავების შედეგად, ამომრჩეველთა ერთიანი სია განახლდა 10-ჯერ.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, შემუშავდა ტრენინგების ახალი კონცეფცია, რომლის მიხედვით, საარჩევნო კომისიების წევრთა მომზადება, განხორციელდა ახალი მიდგომებით – პროფილური პროგრამებითა და განახლებული მეთოდოლოგიით; შემუშავდა სახელმძღვანელო ინსტრუქციები და თვალსაჩინო მასალები არჩევნებში ჩართული მხარეებისა და საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის.

არჩევნების შედეგების უმოკლეს დროში გასაჯაროების მიზნით, საქართველოს არჩევნების ისტორიაში პირველად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 მაისის შუალედური არჩევნების დროს, ცესკომ განახორციელა კვლევაზე დაფუძნებული საპილოტე პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, კენჭისყრის დღეს, ხმების დათვლის პროცედურის ელექტრონულად ჩატარებას. ხმების დათვლის ელექტრონული აპარატების დახმარებით დათვლილ მონაცემებს ჰქონდა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი. თანამედროვე ტექნოლოგიებით ჩატარებული საარჩევნო პროცესის კვლევის შედეგები გაზიარებული და განხილული იყო პოლიტიკური პარტიების, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. საარჩევნო ადმინისტრაციამ, საინფორმაციო კამპანია ჩაატარა როგორც ჩართული მხარეების, ისე ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამომრჩევლებისთვის.

ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდების მიზნით, ცესკოში ფუნქციონირებს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი, რომლის მომსახურებით, მოქალაქეებმა, ისარგებლეს 34 053-ჯერ; საჩივრების რეესტრის საშუალებით, დაინტერესებულ პირებს, შეეძლოთ საჩივრებთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება, კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით, საარჩევნო კომისიის/საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიღება და დავასთან დაკავშირებით არსებული სასამართლო გადაწყვეტილების მოძიება.



01

სტრატეგიული პრიორიტეტი 1

ინსტიტუციური გაძლიერება

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: ინსტიტუციური გაძლიერება

მიზანი 1. ეფექტური მართვის უზრუნველყოფა

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვა, ანგარიშგება და მონიტორინგი

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის წესში, განხორციელდა ცვლილებები, რომელთა შედეგად საოლქო საარჩევნო კომისიებში, დაინერგა ანგარიშგების სისტემა. წესის შესაბამისად, ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა, შეიმუშავეს სასწავლო მოდული, ანგარიშგების წესის, წარმოსადგენი ანგარიშის ფორმისა და ვადების შესახებ. ტრენინგი გაიარა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის, 143-მა ხელმძღვანელმა პირმა, მათ შორის, 48 (34%) იყო ქალი და 95 (66%) – კაცი.

ანგარიშების მომზადება/წარდგენა

საანგარიშო პერიოდში, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის წესის მიხედვით, ცხრა სტრუქტურულმა ერთეულმა, სწავლების ცენტრმა და 73-მა საოლქო საარჩევნო კომისიამ, ცესკოს თავმჯდომარეს, წარუდგინეს ანგარიშები განხორციელებული საქმიანობების შესახებ. ცესკოს ხელმძღვანელებსა და წევრებს, წარედგინა ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის 2018 წლის პირველი და მეორე კვარტლების, ასევე, წლიური კონსოლიდირებული ანგარიშები.

28 მარტს, ცესკოს თავმჯდომარემ, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფო უწყებების და მედიის 117 წარმომადგენელს, წარუდგინა საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის მიერ 2017 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.



საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის საქმიანობის 2017 წლის ანგარიშის წარდგენა.

საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, ცესკომ, საქართველოს პარლამენტს, წარუდგინა 2018 წელს ჩატარებული არჩევნების ოთხი ანგარიში.

19 ოქტომბერს, ცესკოს თავმჯდომარემ, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფო უწყებებისა და მედიის 80-მდე წარმომადგენელს, წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შუალედური ანგარიში, ხოლო 23 ოქტომბერს – საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, 20 წარმომადგენელს.

ცესკოს მიერ წარდგენილი ყველა ანგარიში საჯაროა და ხელმისაწვდომია ცესკოს ვებგვერდზე.

საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობის გეგმა

ცესკომ, პირველად, შეიმუშავა საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობის წლიური სამოქმედო გეგმა. გეგმა მოიცავდა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განსახორციელებელ საქმიანობებს არასაარჩევნო და საარჩევნო პერიოდში. აღსანიშნავია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებმა განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშები წარმოადგინეს გეგმის შესაბამისად.

საარჩევნო ადმინისტრაციის 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებისა და 2019 წლის გეგმის პროექტის განხილვა

ცესკოში დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან თანამშრომლობით, საანგარიშო წლის ბოლოს, გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც ცესკოს ხელმძღვანელ პირებსა და წევრებს ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელებმა წარუდგინეს განხორციელებული საქმიანობის შესახებ შემაჯამებელი ანგარიშები. ამასთან, განიხილეს საარჩევნო ადმინისტრაციის 2019 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი. 28 დეკემბერს გამართულ სხდომაზე, ცესკომ, დაამტკიცა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2019 წლის სამოქმედო გეგმა[2].

ცესკომ მოამზადა და ინფორმაციის სახით, შესაბამის ინსტიტუციებს გაუგზავნა შემდეგი დოკუმენტები/სამოქმედო გეგმები:

საქართველოს პარლამენტს

- ცესკოს, 2019 წლის, საბიუჯეტო განაცხადის პროექტი, რომელიც დამტკიცდა პარლამენტის 2018 წლის 13 ივნისის №2526-IIს დადგენილებით.

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს

- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის, 2018-2019 წლებში, განსახორციელებელ საქმიანობასთან, მათ შორის, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ინფორმაცია.

საქართველოს პარლამენტის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს

- საქართველოს პარლამენტის, 2017 წლის 30 ივნისის, N1181-IIს დადგენილებით, გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს

- საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2016-2017 წლებში, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.
- ცესკოს კომპეტენციის ფარგლებში, ადამიანის უფლებების დაცვის, სამთავრობო სამოქმედო გეგმის, 2018-2020 წლებში, განსახორციელებელი საქმიანობები.

2 ცესკოს 2018 წლის 28 დეკემბრის №375/2018 განკარგულება.

საგარეო საქმეთა სამინისტროს

- ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) კონვენციის შესაბამისად, 2015-2017 წლებში, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, განხორციელებული საქმიანობის ანგარიში;
- უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მესამე ციკლის ფარგლებში, გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, განხორციელებული საქმიანობის შუალედური ანგარიში.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს

- საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლების (ბოშების) საარჩევნო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობის მიმართულებით, განხორციელებული საქმიანობის ანგარიში;
- „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმის“ მიხედვით, განხორციელებული საქმიანობის ანგარიში და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2019 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი.
- სამოქმედო გეგმა პანკისის ხეობაში მცხოვრები პირების მიმართ 2018-2019 წლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტს

- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის, 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.

ფინანსთა სამინისტროს

- საარჩევნო ადმინისტრაციის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;
- საარჩევნო ადმინისტრაციის 2018 წლის კვარტალური ანგარიშები;
- 2019-2022 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (BDD).

შემოსავლების სამსახურს

- ყოველთვიური ინფორმაცია განაცემთა და საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

სტატისტიკის სამსახურს

- ყოველთვიური ინფორმაცია, დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობისა და მათზე გაცემული შრომის ანაზღაურების ჯამური ოდენობების შესახებ, რეგიონების შესაბამისად.

საარჩევნო ადმინისტრაციისა და ცესკოს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციის შიდა აუდიტი

საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა შვიდი საოლქო საარჩევნო კომისიისა და ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი. ჩატარდა 24 სამსახურებრივი შემოწმება/ინსპექტირება როგორც განცხადება/საჩივრების საფუძველზე, ისე დისციპლინური გადაცდომის პრევენციის მიზნით, ცესკოს ხელმძღვანელების ინიციატივით.

ცესკოს საკუთრებაში არსებული ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციული სისტემის აუდიტი უსაფრთხოების მიმართულებით

ცესკოს საკუთრებაში არსებული, ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციული სისტემის მიმართ, საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების აუდიტის განსახორციელებლად, განისაზღვრა კრიტიკული სისტემები, რომელთა მთლიანობის, კონფიდენციალურობისა და ხელმისაწვდომობის დარღვევამ, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს საარჩევნო ადმინისტრაციის ეფექტიან მუშაობას. ინფორმაციული სისტემები შემოწმდა შესაბამისი ტექნოლოგიური ხელსაწყოების გამოყენებით, რაც აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს ინფორმაციული სისტემების აუდიტის განსახორციელებლად. აღმოჩენილი სისუსტეების აღმოსაფხვრელად, ცესკოს თავმჯდომარეს, აუდიტის ანგარიშის ფორმით, წარედგინა რეკომენდაციები.

ინფორმაციული უსაფრთხოება

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, საარჩევნო ადმინისტრაციის ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭომ მოამზადა და ცესკოს ხელმძღვანელ პირებს წარუდგინა ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებულ „ინფორმაციული სისტემების შერჩევისა და შემდგომი ექსპლუატაციისას გასათვალისწინებელი მინიმალური მოთხოვნების შესახებ“ ინსტრუქციაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და სერტიფიცირება საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შემუშავების, დანერგვისა და საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნების შესაბამისად სერტიფიცირებისთვის, ცესკოში შეიქმნა პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი[3]. სასერტიფიკაციო და საკონტროლო აუდიტების ჩასატარებლად, ჩატარდა ბაზრის კვლევა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმდა მრავალწლიანი შესყიდვა (2018-2021 წლები).



3 სამუშაო ჯგუფი შეიქმნა ცესკოს თავმჯდომარის 2018 წლის 4 მარტის №01-37 ბრძანების საფუძველზე.

ტენდერის საშუალებით, განხორციელდა მომსახურების შესყიდვა და 13 სექტემბერს, გაფორმდა ხელშეკრულება მიმწოდებელ კომპანიასთან, რომელიც მოიცავდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შემუშავებას და დანერგვას საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნების შესაბამისად, სასერტიფიკაციო და საკონტროლო აუდიტების ჩატარებას.

29 ნოემბერს, ცესკოში შეიქმნა ხარისხის მართვის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის საკოორდინაციო საბჭო[4], განისაზღვრა საქმიანობის წესი და უფლებამოსილება. დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, 7 დეკემბერს, საერთაშორისო ექსპერტ-აუდიტორმა, ცესკოს ხარისხის მართვის საბჭოს წევრებს, ჩაუტარა სწავლება „ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ISO 9001:2015“.

შიდა კომუნიკაციის სისტემა ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებს შორის

საარჩევნო ადმინისტრაციაში, შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა შიდა საინფორმაციო პორტალის (Intranet) სადემონსტრაციო ვერსია. პორტალის სრული დატვირთვით ამოქმედება დაგეგმილია 2019 წლის პირველ კვარტალში.

ტრენინგები საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის

3-7 აგვისტოს, ცესკოში, გაიმართა ტრენინგები საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნებისთვის, რომლებიც ჩაატარეს იურიდიული, სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული, საფინანსო, ადამიანური რესურსების მართვისა და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტების წარმომადგენლებმა. სწავლება მიზნად ისახავდა, ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებს შორის, შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესებას, ერთგვაროვანი სამუშაო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას, საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობასთან დაკავშირებული პოტენციური რისკების შემცირებასა და საოლქო საარჩევნო კომისიების მუდმივმოქმედი წევრების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას. ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებები, ახალი მოდული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის „საარჩევნო პროცესების მართვა“, საოლქო საარჩევნო კომისიების არჩეულ წევრთა შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხები, საქმისწარმოება, ონლაინ რეგისტრაციების პროცესი და ეფექტური ფინანსური ადმინისტრირება.

საოლქო საარჩევნო კომისიებში საქმისწარმოებისა და რეგისტრაციების პროცედურების გასაუმჯობესებლად, საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებს მიეწოდათ ინფორმაცია, საქმისწარმოებისა და საარჩევნო რეგისტრაციების პროცესების შესახებ.

4 საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა ცესკოს თავმჯდომარის 2018 წლის 29 ნოემბრის №01-150 ბრძანების საფუძველზე.

ტრენინგისთვის, შემუშავდა საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის, საქმისწარმოებისა და საარჩევნო რეგისტრაციების პროცესის სახელმძღვანელო ინსტრუქციები[5], ასევე, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა, დამკვირვებელთა და მედია ორგანიზაციების ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამის გამოყენების სახელმძღვანელო/ინსტრუქცია.

ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 141-მა ხელმძღვანელმა პირმა, მათ შორის, 88 (62%) იყო ქალი და 53 (38%) – კაცი.

საოლქო საარჩევნო კომისიებში ფინანსური მართვა, სახელმწიფო შესყიდვები, ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება

საარჩევნო ადმინისტრაციის ეფექტიანი საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკისა და საოლქო საარჩევნო კომისიების ფინანსური მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად, შესწავლილ იქნა, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, საოლქო საარჩევნო კომისიების ფინანსური საქმიანობა, ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2015-2016 წლების ანგარიშში წარმოდგენილი შენიშვნები.

ანალიზის შედეგად, გამოვლენილი საკითხების გათვალისწინებითა და სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მიზნით, განახლდა სახელმძღვანელო ინსტრუქცია „საოლქო საარჩევნო კომისიების ფინანსური მენეჯმენტი“. დოკუმენტში აისახა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განხორციელებული, საკანონმდებლო ცვლილებები და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ წარმოსადგენი, საფინანსო ანგარიშების განახლებული ფორმები. ინსტრუქციის მიხედვით, ჩატარდა ტრენინგები საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისთვის.

ინსტრუქციაში მოქმედი რეგულაციების, სიახლეების ასახვამ, ხელი შეუწყო გადაცდომების/ხარვეზების მინიმუმამდე დაყვანასა და საოლქო საარჩევნო კომისიების ფინანსური მენეჯმენტის გაუმჯობესებას.

საოლქო საარჩევნო კომისიების დაფინანსების წესი

2018 წლის დასაწყისში, განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნებისთვის, საოლქო საარჩევნო კომისიების, ფინანსური საქმიანობის ანალიზი. მხედველობაში იქნა მიღებული საოლქო საარჩევნო კომისიების ფინანსურ ანგარიშებში და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2015-2016 წლების ანგარიშში, საოლქო საარჩევნო კომისიების მიმართულებით, დაფიქსირებული შენიშვნები.

5 საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულების, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 24 აგვისტოს №01-113 ბრძანებით დამტკიცებული ,,საოლქო საარჩევნო კომისიების საქმისწარმოების წესის“ საფუძველზე.

სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მიზნით, ცესკომ ცვლილებები შეიტანა საოლქო საარჩევნო კომისიების ფინანსური მენეჯმენტის ინსტრუქციაში, რომლის მიხედვით, განახლდა საოლქო საარჩევნო კომისიების წარმოსადგენი საფინანსო ანგარიშების ფორმები[6]. ინსტრუქციაში აისახა, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები. განახლებული ინსტრუქციის მიხედვით, ცესკოში ჩატარდა საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების ტრენინგები.

ანგარიშგების განახლებული ფორმების დამტკიცებამ, ხელი შეუწყო როგორც საოლქო საარჩევნო კომისიების საარჩევნო ბიუჯეტების დაგეგმვის, ისე გამოყოფილი დაფინანსებების, ცესკოს მხრიდან, მონიტორინგის გაუმჯობესებას.

საარჩევნო ადმინისტრაციის ქონების/მარაგების აღრიცხვა

საარჩევნო ადმინისტრაციის ქონებისა და მარაგების აღრიცხვა განხორციელდა შერჩევითი და სავალდებულო ინვენტარიზაციის გეგმების შესაბამისად. ჩატარდა ძველი ტიპის ლითონის საარჩევნო კაბინების, სატრანსპორტო საშუალებების, ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციები. ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ფარგლებში, დავალიანების დაფარვის მიზნით, გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, გაიგზავნა წერილები სხვადასხვა უწყებებში. ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებებით, განისაზღვრა მატერიალურად პასუხისმგებელი პირები. ინვენტარიზაციების შედეგები წარედგინა ცესკოს ხელმძღვანელობას. მსვლელობის პროცესშია ფინანსური დოკუმენტების ინვენტარიზაცია.

არჩევნების ხარჯები

საქართველოს პარლამენტის 28 აპრილის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 მაისის შუალედური არჩევნების შემდეგ, ცესკომ, განახორციელა ხარჯების ანალიზი და, სტანდარტის მიხედვით მომზადებული ანგარიშები, განათავსა ცესკოს ვებგვერდზე www.electioncosts.cec.gov.ge.

ცესკოს ელექტრონული არქივი

საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური მეხსიერების სრულყოფისა და მუდმივად შესანახი დოკუმენტაციის ერთიანი ბაზის წარმოების მიზნით, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 10 000 ერთეული დოკუმენტის ნაცვლად, ელექტრონული არქივის პროგრამაში, ელექტრონულ ფორმატში გადაყვანილი და ინტეგრირებული იყო 18 418 დოკუმენტი. ამჟამად, ელექტრონული არქივის პროგრამაში შესაძლებელია შემდეგი შვიდი დასახელების 73 550 დოკუმენტის მოძიება. ინფორმაცია იხილეთ ცხრილში (1).

6 ცესკოს 2018 წლის 15 სექტემბრის №247/2018 განკარგულება.

ცხრილი 1.

N	დოკუმენტის დასახელება	დოკუმენტის შედგენის წლები	დოკუმენტის რაოდენობა
1	ცესკოს დადგენილება	1995-2018	1 438
2	ცესკოს განკარგულება	2000-2018	5 660
3	ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება	2001-2018	1 896
4	ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება	2001-2018	9 516
5	ცესკოს მდივნის განკარგულება	2006-2018	6 076
6	ცესკოს სხდომის ოქმი	1999-2018	1 328
7	არჩევნების შემაჯამებელი ოქმი	2016 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნები	4 149 (მიმდინარე)
		2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები	7 218
		2014 წლის ქ. თბილისის მერის არჩევნები	1 307
		2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები	2 206
		2013 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები	3 733
		2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნები	7 774
		2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები	6 002
		2010 წლის ქ. თბილისის მერის არჩევნები	829
		2008 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნები	5 756
		2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები	6 188
		2004 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები	2 502
		ჯამი	**73 550**

თანამშრომელთა სამუშაო მოტივაციისა და კმაყოფილების კვლევა

ცესკოს აპარატის თანამშრომელთა სამუშაო მოტივაციისა და კმაყოფილების კვლევაში ჩართულობის წასახალისებლად, 22 და 24 მაისს, ჩატარდა კვლევების სამი წლის ანგარიშის პრეზენტაცია. 2017 წელთან შედარებით კვლევაში მონაწილე თანამშრომელთა რაოდენობა გაიზარდა, თუმცა ვერ დააკმაყოფილა ინდიკატორის მოთხოვნა (კვლევაში ჩართული თანამშრომელთა არანაკლებ 70%).

ცესკოს აპარატის თანამშრომელთა კმაყოფილების დონის და მოტივატორების გამოსავლენად, კვლევა ჩატარდა ანონიმური კითხვარის საშუალებით. 2018 წელს კვლევაში მონაწილეობა მიიღო ცხრა დეპარტამენტის 37-მა (23%) თანამშრომელმა. კვლევაში მონაწილე თანამშრომლების 49%-მა საერთო სამუშაო კმაყოფილება შესაძლო 5.0-დან – 4.0 ქულით შეაფასა, რაც ნიშნავს, რომ ისინი კმაყოფილები არიან. 76%-მა შეაფასა საკუთარი სამუშაო მოტივაციის დონე 3.6 ქულით, რაც მიანიშნებს, რომ ისინი არიან უფრო მოტივირებულები, ვიდრე ნეიტრალურად განწყობილები. თანამშრომლებმა, დაასახელეს შემდეგი სამუშაო მოტივატორები: მატერიალური წახალისება, კოლეგებთან ურთიერთობა, სამუშაო გარემო, აღიარება, დაწინაურება/კარიერული წინსვლა, არამატერიალური წახალისება, შესასრულებელი სამუშაო, სამსახურებრივი მიღწევები/წარმატებული პროექტები.

მიზანი 2. ადამიანური რესურსების განვითარება

თანამშრომელთა გადამზადების გეგმა

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა პროფესიული განვითარების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად, ჩატარდა ტრენინგების საჭიროებების ანალიზი. გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით, შემუშავდა თანამშრომელთა განვითარების/ტრენინგების 2018 წლის გეგმა[7].

საანგარიშო პერიოდში, საქართველოში ჩატარდა ექვსი ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 81-მა თანამშრომელმა, მათ შორის, 46 (57%) იყო ქალი და 35 (43%) – კაცი. ინფორმაცია ჩატარებული ტრენინგების შესახებ, იხილეთ ცხრილში (2).

ცხრილი 2.

N	ტრენინგის დასახელება	განმახორციელებელი ორგანიზაცია	მონაწილე სტრუქტურული ერთეული
1	მეილ სერვერთან დაკავშირებული ოფიციალური სასწავლო კურსი №Microsoft Course 20345-1A (Administering Microsoft Exchange Server 2016)	აითი-ნოლიჯი	ამომრჩეველთა სიების ფორმირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი
2	სასწავლო პროგრამა აქტივ დირექტორია №Microsoft Course 20742B (კომპიუტერების ცენტრალიზებული მართვისთვის საჭირო სასერვერო პროგრამული მოდული)		
3	ეფექტური კომუნიკაცია და ანგარიშების მომზადება	ევროპის საბჭო ევროპის აკადემიური ცენტრი	ცესკოს აპარატის ყველა სტრუქტურული ერთეული სწავლების ცენტრი
4	ინგლისური ენის სასწავლო კურსი	ცესკო	ცესკოს აპარატის ყველა სტრუქტურული ერთეული სწავლების ცენტრი
5	დიპლომატიური პროტოკოლი და საქმიანი ურთიერთობები	ევროპის საბჭო ევროპის აკადემიური ცენტრი	ცესკოს წევრები, ცესკოს აპარატის ყველა სტრუქტურული ერთეული სწავლების ცენტრი
6	ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ISO 9001-2015	შპს „მენეჯმენტის სისტემები“	ცესკოს ხელმძღვანელი პირები, ცესკოს აპარატის ყველა სტრუქტურული ერთეული

7 ცესკოს თავმჯდომარის 2017 წლის 1 თებერვლის №01-22 ბრძანება.

საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა

2018 წელს საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით, კვლევის საფუძველზე, თანამშრომელთა უმრავლესობის სურვილითა და თანხმობით, შეირჩა სადაზღვევო კომპანია „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“. დაზღვეულთა რაოდენობამ შეადგინა – 721, მათ შორის, საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელი – 456 და მათი ოჯახის წევრი – 265. უნდა აღინიშნოს, რომ თანამშრომლები ჯანმრთელობის დაზღვევის საფასურს იხდიან საკუთარი შემოსავლიდან.

საარჩევნო ადმინისტრაციაში ახლად დანიშნული/არჩეული თანამშრომლებისთვის, საორიენტაციო სასწავლო კურსი „არჩევნების მიმოხილვა და პროცედურების ზოგადი კურსი“

ცესკოში დანერგილი სისტემის შესაბამისად, კონკურსის შედეგად შერჩეული თანამშრომლებისა და სტაჟიორებისთვის, ჩატარდა რვა საორიენტაციო პროგრამა. ახალი თანამშრომლები გაეცნენ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის სტანდარტს, პროცედურებს, ეთიკის კოდექსსა და შინაგანაწესს. საორიენტაციო პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 93-მა ახალმა თანამშრომელმა და სტაჟიორმა, მათ შორის, 59 (63%) იყო ქალი და 34 (37%) – კაცი.

სწავლების ცენტრმა საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი თანამშრომლებისა და სტაჟიორებისთვის განახორციელა საორიენტაციო პროგრამა – „არჩევნების მიმოხილვა და პროცედურების ზოგადი სასწავლო კურსი“. მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: არჩევნების ისტორია საქართველოში, საარჩევნო ციკლი, საარჩევნო ადმინისტრაცია და ეთიკის კოდექსი, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობა და კენჭისყრის დღის პროცედურები. სწავლების ცენტრმა, ტრენინგებისთვის, შეიმუშავა შესაბამისი სასწავლო მასალა, რომელიც მოიცავდა ელექტრონულ სასწავლო პროგრამასა და პრაქტიკულ სავარჯიშოებს. ტრენინგი ჩატარდა კომბინირებული მეთოდოლოგიით (ვერბალური, პრაქტიკული, ინტერაქტიული). სასწავლო კურსში მონაწილეობა მიიღო 12-მა ახალმა თანამშრომელმა და სტაჟიორმა, მათ შორის, შვიდი (58%) იყო ქალი და ხუთი (42%) – კაცი.

მენტორინგის ინსტიტუტი

პროფესიული გამოცდილების გაზიარებისთვის ცესკოს აპარატში დაინერგა მენტორინგის ინსტიტუტი. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა მენტორინგის წესი[8].

8 ცესკოს თავმჯდომარის 2018 წლის 18 დეკემბერის №01-162 ბრძანება.

9 სწავლების ცენტრი ატარებს სასერტიფიკაციო გამოცდას საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება

საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური ადამიანური რესურსის შერჩევის მიზნით, სწავლების ცენტრმა, ჩაატარა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ორი სასერტიფიკაციო გამოცდა[9]. სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის, დამტკიცდა 2 521 ტესტი, მათ შორის, 377 – ახალი. ტესტები თანდართული პასუხებით, წინასწარი საჯარო გაცნობისთვის, გამოქვეყნდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე. ტესტები მოიცავდა საკითხებს საქართველოს კონსტიტუციიდან (600 კითხვა), საქართველოს ორგანული კანონიდან „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (1800 კითხვა), ზოგადი უნარების ვერბალური ნაწილიდან (100 კითხვა) და მათემატიკური ნაწილიდან (21 კითხვა, ნიმუშის სახით).

გამოცდების ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდა ელექტრონული ფორმით, რეალური დროის რეჟიმში. გამოცდები, ელექტრონული ტესტირების მეთოდით ჩატარდა. თითოეული გამოსაცდელისთვის, ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, შეირჩეოდა 30 საგამოცდო ტესტი, რომელიც მოიცავდა კითხვებს საქართველოს კონსტიტუციიდან (ექვსი კითხვა), საქართველოს საარჩევნო კოდექსიდან (17 კითხვა), ზოგადი უნარების მათემატიკური (ხუთი კითხვა) და ვერბალური (ორი კითხვა) ნაწილებიდან. გამსვლელი 24 ქულის მიღების შემთხვევაში, გამოსაცდელს, ადგილზე, გადაეცემოდა საარჩევნო მოხელის სერტიფიკატი.

სწავლების ცენტრმა სერტიფიცირებულ პირთა ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, განახორციელა ცვლილებები საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების დებულებაში და ცესკოსთან თანამშრომლობით, განაახლა სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის პროგრამა, რომელსაც დაემატა გამოცდის ჩაბარების მსურველის მიერ, პერსონალური მონაცემების გაცემაზე თანხმობის მონიშვნის ველი.

გამოცდის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისთვის, ცესკომ, უზრუნველყო საინფორმაციო ვიდეორგოლის თარგმნა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე, სოციალურ ქსელსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში[10] განთავსება. საინფორმაციო რგოლი უზრუნველყოფილი იყო სურდოთარგმანით.

10 საინფორმაციო ვიდეორგოლი განთავსდა შემდეგი ტელევიზიების ეთერში: კავკასია, იბერია, პალიტრანიუსი, აჭარა.

გამოცდის მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით, დარეგისტრირდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები „საზოგადოებრივი დამცველი“ და „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“.

სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების მსურველთა რაოდენობამ შეადგინა 2 315, მათგან გამოცდაზე გამოცხადდა 779 (34%), ხოლო გამოცდა წარმატებით ჩააბარა 194-მა (25%) მონაწილემ, მათ შორის, 127 (65%) იყო ქალი და 67 (35%) – კაცი. გამოცდის წარმატებით ჩამბარებელი 194 მოქალაქიდან, 165-მა თანხმობა განაცხადა პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და გაცემაზე.





საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდა

საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების ტრენინგი მედიასთან ურთიერთობის მიმართულებით

20 სექტემბერს, ცესკოში, ჩატარდა ტრენინგი მედიასთან კომუნიკაციაში საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის. სწავლება ჩაატარა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის პროექტის ხელმძღვანელმა, რომელმაც, მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია სატელევიზიო ინტერვიუს, ეფექტური საჯარო გამოსვლების, მედიასთან ურთიერთობისა და მედიის წარმომადგენლების უფლებების შესახებ.

ახალი სასწავლო პროგრამა „ტრენერის პროფესიული უნარების განვითარება“ საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის

19 თებერვალი-8 მარტის პერიოდში, სწავლების ცენტრმა განახორციელა ახალი სასწავლო პროგრამა „ტრენერის პროფესიული უნარების განვითარება“. საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის ზოგიერთი თანამშრომლები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: ტრენინგის დაგეგმვა და სტრუქტურა, პროგრამის დიზაინი, ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგია, ტრენინგის შეჯამება/შეფასების მექანიზმები, ტრენერის სახელმძღვანელოს/ გზამკვლევის შედგენისა და გამოყენების ტექნიკა, ტრენერის პროფესიული და ზოგადი უნარ-ჩვევები, პრეზენტაციის უნარ-ჩვევები. პროგრამა სამ ეტაპად ჩატარდა და მონაწილეობა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 108 წევრმა მიიღო, მათ შორის, 49 (45%) იყო ქალი და 59 (55%) – კაცი.

აღნიშნული სასწავლო პროგრამა, 2018 წლის 23-25 აპრილის პერიოდში, სწავლების ცენტრმა, პირველად, ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (უსკო) წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისთვის. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 15-მა მონაწილემ, მათ შორის, 10 (67%) იყო ქალი და ხუთი (33%) – კაცი.

სასწავლო კურსი „სამართლებრივი წერა და საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ წარმოება“ საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის

4-19 ივნისს, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან თანამშრომლობით, ჩაატარეს სასწავლო კურსი „სამართლებრივი წერა და საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება“. სასწავლო კურსში მონაწილეობა მიიღეს საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა, თავმჯდომარეების მოადგილეებმა, კომისიების მდივნებმა, საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის ზოგიერთმა თანამშრომელმა და უსკოს წარმომადგენლებმა. კურსი კომბინირებული მეთოდით ჩატარდა, რაც მოიცავდა ელექტრონულ და პრაქტიკულ სწავლებას. მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: სამართლებრივი წერა, განცხადების/ საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, გადაწყვეტილების მომზადება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით.

სწავლების ცენტრის ინიციატივით, შემუშავდა და ჩატარდა ახალი მოდული ემოციების, რთული საუბრებისა და კონფლიქტური სიტუაციების მართვის შესახებ, რომელსაც უძღვებოდა, სწავლების ცენტრის მიერ მოწვეული სპეციალისტი. კურსის ნაწილს, სამართლებრივი წერის შესახებ, უძღვებოდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მიერ მოწვეული სპეციალისტი.

სასწავლო კურსში მონაწილეობა მიიღო 224-მა პირმა, მათ შორის, 109 (49%) იყო ქალი და 115 (51%) – კაცი.

კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები და სადამკვირვებლო მისიები

სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან თანამშრომლობის, საკონსულტაციო მომსახურების გაწევისა და საარჩევნო პროცესების მართვის შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით, 21 საერთაშორისო კონფერენციაში, ტრენინგსა და სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ცესკოს წევრებმა, აპარატის თანამშრომლებმა, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა, სულ 17-მა პირმა, მათ შორის, რვა (47%) იყო ქალი და ცხრა (53%) – კაცი. ინფორმაცია იხილეთ ცხრილში (3).

ცხრილი 3.

თარიღი	თემატიკა	ორგანიზატორი ორგანიზაცია
23-24 იანვარი	სამუშაო შეხვედრა „რისკების მართვა საარჩევნო პროცესში - საარჩევნო ადმინისტრაციების მდგრადობის გაძლიერება“	დემოკრატიისა და საარჩევნო დახმარების საერთაშორისო ინსტიტუტი (IDEA)/შვედეთი
5-16 მარტი	ტრენინგი „საარჩევნო მენეჯმენტისა და შესაძლებლობების განვითარება“	ინდოეთის მთავრობა, ინდოეთის საარჩევნო კომისია, დემოკრატიისა და საარჩევნო მენეჯმენტის ინდოეთის საერთაშორისო ინსტიტუტი/ინდოეთი
10-11 აპრილი	საპარლამენტო სემინარი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ	ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE), ვენეციის კომისია, ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესი/ალბანეთი
8-10 აპრილი	სამუშაო შეხვედრა „არჩევნები მშვიდობისთვის“	შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტი (FDFA), შვეიცარიის მშვიდობის კვლევის ინსტიტუტი (Swiss Peace), შვეიცარიის სამაგისტრო ინსტიტუტი, კოფი ანანის ფონდი/შვეიცარია
16-17 აპრილი	საერთაშორისო კონფერენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა“	ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR)
19-20 აპრილი	საარჩევნო ადმინისტრაციების მე-15 ყოველწლიური კონფერენცია „უსაფრთხოება და არჩევნები“	ნორვეგიის ადგილობრივი მთავრობა, მოდერნიზაციის სამინისტრო და ვენეციის კომისია/ნორვეგია
25 აპრილი	საქართველო-ევროკავშირის დიალოგის მეთერთმეტე შეხვედრა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე	ევროკავშირი/ბელგია
3-6 მაისი	რუმინეთის 100 წლის დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ღონისძიება	რუმინეთის მუდმივმოქმედი საარჩევნო კომისია/რუმინეთი
18 მაისი	აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის დემოკრატიისა და მმართველობის ჯგუფის მორიგი შეხვედრა	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
28-31 მაისი	საარჩევნო საკითხთა მე-16 საერთაშორისო სიმპოზიუმი	საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრი (ICPS), პორტუგალიის ეროვნული საარჩევნო კომისია/პორტუგალია

18-28 ივნისი	საერთაშორისო კურსი „ქალთა პოლიტიკური გაძლიერება“	ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა MASHAV/ ისრაელი
28 ივნისი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მეოთხე სხდომა	ევროკავშირი/ბელგია
26 ივლისი	ცესკოს თავმჯდომარის შეხვედრა თურქეთში ქართულ დიასპორასა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან	საქართველოს გენერალური საკონსულო/თურქეთი
5-10 აგვისტო	ტრენინგი „შესაძლებლობების გაძლიერება არჩევნების მართვაში და ამომრჩეველთა რეგისტრაცია“	ინდოეთის საარჩევნო კომისია (ECI) და ინდოეთის დემოკრატიისა და არჩევნების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (IIDEM)/ინდოეთი
18-25 აგვისტო	ტრენინგი „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ (ICT) გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის“	მსოფლიო საარჩევნო ადმინისტრაციების ასოციაცია (A-WEB)/კორეა
5-7 სექტემბერი	ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაციის (ACEEEO) გენერალური ასამბლეის შეხვედრა და 27-ე ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენცია	ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაციისა (ACEEEO) და ლიეტუვას რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია/ლიეტუვა
10-21 სექტემბერი	ადამიანის უფლებათა დაცვის განზომილებაში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) მონაწილე ქვეყნების ვალდებულებათა შესრულების შემფასებელი ყოველწლიური შეხვედრა (HDIM)	ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR)/პოლონეთი
1-2 ნოემბერი	ყაზახეთის რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის 25 წლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე „არჩევნებში ახალი ტექნოლოგიების როლი: სტანდარტების გაუმჯობესება და საზოგადოებრივი ნდობა“	ყაზახეთის რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია/ყაზახეთი
28 ნოემბერი	სამუშაო შეხვედრა საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება	ევროპის საბჭო, ვენეციის კომისია, მოლდოვას რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია/ მოლდოვა
10 დეკემბერი	საერთაშორისო კონფერენცია „კომუნიკაცია საარჩევნო პროცესში და საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობა“	საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES)/უკრაინა
2-14 დეკემბერი	ტრენინგი „შესაძლებლობების განვითარება არჩევნების მართვაში“	ინდოეთის საარჩევნო ადმინისტრაცია/ ინდოეთი

საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლები, საერთაშორისო დამკვირვებლის სტატუსით, დააკვირდნენ 10 ქვეყანაში ჩატარებულ შემდეგ არჩევნებს:

- პრეზიდენტის არჩევნები აზერბაიჯანში;
- პარლამენტის არჩევნები უნგრეთში;
- პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები კოლუმბიაში;
- პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები სლოვენიაში;
- ონტარიოს 42-ე საერთო არჩევნებს კანადაში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კორეის რესპუბლიკაში;
- პრეზიდენტისა და ფედერალური კონგრესის წევრების არჩევნები მექსიკაში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები პოლონეთში;
- პარლამენტის არჩევნები ლატვიაში;
- პარლამენტის ვადამდელი არჩევნები სომხეთში.

სადამკვირვებლო მისიებში მონაწილეობის შემდეგ, მისიების მონაწილეებმა, წარადგინეს ანგარიშები, სადაც აღწერილ იქნა მიღებული გამოცდილება, დამყარებული კონტაქტები და სამომავლო რეკომენდაციები. სადამკვირვებლო მისიებში მონაწილეობა მიიღო 21-მა თანამშრომელმა, მათ შორის, ცხრა (43%) იყო ქალი და 12 (57%) – კაცი.

მიზანი 3. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

თანამედროვე ელექტრონული პროგრამები საარჩევნო პროცესებში

ცესკომ, საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, დანერგა სასამართლო სხდომის დანიშვნისა და მესამე პირთა ჩაბმის შესახებ, სასამართლოს განჩინებების მიღებისა და ცესკოს ვებგვერდზე განთავსების წესი. შეიქმნა ახალი ვებგვერდი ganchineba.cec.gov.ge, რომელზეც ქვეყნდებოდა შესაბამისი ინფორმაცია.

ცესკომ გაითვალისწინა საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების რეკომენდაციები, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების/სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის თაობაზე და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომების ოქმები და მიღებული განკარგულებები, ძალაში შესვლისთანავე, ქვეყნდებოდა ცესკოს ახალ ვებგვერდზე, რომელიც სპეციალურად შეიქმნა ამ მიზნებისთვის.

არჩევნების მართვის ელექტრონული სისტემა „არმასი“

საანგარიშო პერიოდში ცესკომ გააფართოვა არჩევნების მართვის ელექტრონული სისტემა „არმასის“ შესაძლებლობები. საქართველოს პარლამენტის 28 აპრილის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 მაისის შუალედური და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, სისტემის შეუფერხებლად მუშაობისთვის განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: შუალედური არჩევნებისთვის ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამაში პარტიების მიერ ოლქის და უბნის წევრების დანიშვნის მოდულების დამატებამ, განაპირობა ხუთი მოდულის შექმნა, ცვლილება განიცადა მოდულებმა „საარჩევნო სუბიექტების მართვის“ და „ადამიანური რესურსების“ მოდულების შემდეგმა ქვემოდულებმა: „რეგისტრაცია“, „რეგისტრირებული სუბიექტები“, „პარამეტრების მართვა“, „უბნის წევრები“. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნის ადმინისტრირების გამარტივებისთვის მოდულის პირველ გვერდზე ჩაისვა ინფორმაცია ელექტრონულად განხორციელებული დანიშვნების შესახებ. ადგილობრივი ორგანიზაციების დამკვირვებლების რეგისტრაციის პროგრამის შექმნამ გამოიწვია „არმასი“-ში ახალი მოდულების შექმნის აუცილებლობა – სისტემას ექვსი ქვემოდული დაემატა. გარდა ამისა, ორი ქვემოდული დაემატა სისტემა „არმასს“ საარჩევნო უბნებიდან კენჭისყრის დღეს ინციდენტების შესახებ მისაღები ინფორმაციის მართვისთვის, ხოლო კიდევ ორი ქვემოდული – საოლქო საარჩევნო კომისიების სამართლებრივი აქტებისა და განჩინებების ვებგვერდების მართვისთვის.

მოცულობითი ინფორმაციის შენახვა

სერვერული ნაწილის განახლებისთვის ცესკომ, კომპანიებთან „UGT“ და „Huawei“ თანამშრომლობით, განახორციელა მონაცემთა სანახების შეძენა და მონტაჟი. განხორციელებული საქმიანობის შედეგად, გაუმჯობესდა, ცესკოში არსებული ინფორმაციის, შენახვისა და დუბლირების შესაძლებლობები.

ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამა

2018 წელს, ცესკომ გაზარდა ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამის შესაძლებლობები. გარდა პარტიების მიერ დანიშნული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისა და ყველა დონის საარჩევნო კომისიებში წევრებისა, რეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, სურვილის შემთხვევაში, მიეცათ დამკვირვებელთა დანიშვნის განცხადებების ონლაინ რეჟიმში წარდგენისა და რეგისტრაციის შესაძლებლობა.

ცესკომ დაამტკიცა პარტიების მიერ კომისიის წევრთა, პარტიების/საარჩევნო ბლოკების წარმომადგენელთა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა, ელექტრონული საშუალებებით დანიშვნის შესახებ განცხადებების წარდგენის, რეგისტრაციის წესი და პირობები და პროგრამის გამოყენების შესახებ ჩაატარა ტრენინგი 24 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციისა და 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 150 წარმომადგენლისთვის.

საარჩევნო სუბიექტების მიერ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ წერილობითი შეტყობინების ელექტრონულ სივრცეში განთავსების შემდეგ, საარჩევნო სუბიექტებმა დადგენილი ხარვეზების აღმოფხვრა შეძლეს ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამის საშუალებით. ასევე, გაეცნენ ცესკოში წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ცესკოს მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებსა და ინფორმაციას დაგეგმილი საარჩევნო ღონისძიებების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამით ისარგებლა 19-მა პარტიამ და ელექტრონული წესით, ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში, დანიშნა 1 354 წარმომადგენელი, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიებში – 62 502. ცესკოში რეგისტრირებული 62 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციიდან, 59-მა ისარგებლა ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამით და ყველა დონის საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირდა 47 960 დამკვირვებელი. ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამით, ასევე, ისარგებლა ოთხმა უფლებამოსილმა პარტიამ, რომლებმაც საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნეს 22 132 წევრი.

დაგეგმარებისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამა

ცესკომ, დაგეგმვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესის გასაუმჯობესებლად, შექმნა ელექტრონული პროგრამა. პროგრამის საშუალებით, შესაძლებელია სტრატეგიული და ყოველწლიური სამოქმედო გეგმების ელექტრონულად შემუშავება, ასევე, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის კვარტალური/წლიური ანგარიშების მომზადება/წარმოდგენა. პროგრამის საპილოტედ ამოქმედება დაგეგმილია 2019 წელს.

კიბერშეტევებისგან დამცავი სისტემა

კიბერშეტევების მინიმუმამდე დაყვანის, დამცავი სისტემების გეგმიური განახლებების, არასანქცირებული შეტევებისგან დამცავი სისტემების გაუმჯობესებისა და პრევენციის მიზნით, არსებული სისტემის კონფიგურაციაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, დაინერგა ქსელისა და სერვერების მონიტორინგის სისტემა. განხორციელებული საქმიანობის შედეგად, ცესკოში, ინფორმაციული სისტემების მთლიანობის დარღვევის რისკი შემცირებულია.

კენჭისყრის დღეს, ინციდენტების შესახებ ინფორმაციის მყისიერად გადაცემისა და მონიტორინგის სისტემა

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, ცესკომ შექმნა და საპილოტედ გამოიყენა კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბნებიდან, ინციდენტების შესახებ ინფორმაციის მყისიერად, მოკლე ტექსტური შეტყობინებით, გადაცემისა და მონიტორინგის სისტემა. პროგრამის ინტეგრირება მოხდა სისტემაში „არმასი“, რომელსაც დაემატა შესაბამისი მოდულები, შეიქმნა ინსტრუქცია.

ცესკოს არქივი

ცესკოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ, სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმიანობის შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის განხორციელების შედეგად, გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, ცესკოს არქივის სივრცე აღიჭურვა ცეცხლგამძლე კარადებით/სტელაჟებით, აგრეთვე იონიზირებული გამწოვით, მულტიფუნქციური სკანერებით. საარქივო სივრცეში, განთავსდა მუდმივშესანახი საარქივო დოკუმენტაცია და განხორციელდა შესაბამისი შინაარსობრივი და ადგილმდებარეობითი აღწერა.

განხორციელებული საქმიანობის შედეგად, ცესკოს საარქივო დოკუმენტაციის შენახვის პირობები მოყვანილია კანონმდებლობით მოთხოვნილ ნორმებთან შესაბამისობაში.

ვებ-ელექტრონული კანცელარია

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების გამარტივებული სერვისის დასანერგად, ცესკომ, შექმნა ვებ-ელექტრონული კანცელარიის ახალი ვერსია, რომელიც მუშაობს სატესტო რეჟიმში. აღნიშნული სერვისით სარგებლობისას, ნებისმიერ მოქალაქეს/ორგანიზაციას, საშუალება აქვს, ელექტრონული ფორმით, წარმოადგინოს განცხადება, მოიძიოს ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დროის, რეალურ რეჟიმში.

საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა

საოლქო საარჩევნო კომისიების ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოების ჩატარების დასაგეგმად, ცესკოში, შემოვიდა 58 განაცხადი. სამუშაო ჯგუფმა ადგილზე შეისწავლა საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებული მდგომარეობა და განსაზღვრა შესასრულებელი სამუშაოების პრიორიტეტულობა. მოამზადა შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები და ეტაპობრივად გამოაცხადა ტენდერები სარემონტო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით.

საოლქო კომისიების შენობების სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, გამოცხადდა 25 ელექტრონული ტენდერი, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გაფორმდა ხუთი ხელშეკრულება. სარემონტო სამუშაოები დასრულებულია 26 საოლქო საარჩევნო კომისიაში, ხოლო ოთხ საოლქო საარჩევნო კომისიაში – მიმდინარეობს.

საანგარიშო პერიოდში, შესყიდულ იქნა სიღნაღის საოლქო საარჩევნო კომისიისთვის ახალი შენობა და სრულდება სარემონტო სამუშაოები.

საოლქო საარჩევნო კომისიების ანგარიშებში აღნიშნულია, რომ ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგად, აღმოიფხვრა არსებული პრობლემები და საგრძნობლად გაუმჯობესდა სამუშაო პირობები.

ცესკოს ადმინისტრაციულ შენობაში, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა ხუთი ინფრასტრუქტურული პროექტი: შენობის მესამე სართულის ოთახებს, მეოთხე სართულის სათათბირო ოთახსა და სერტიფიცირების დარბაზს ჩაუტარდა რეაბილიტაცია. განახლდა ადმინისტრაციული შენობის გათბობის სისტემა, მეშვიდე სართულზე, მოეწყო სპეციალური სივრცე კომპიუტერული ტექნიკისა და მოწყობილობების შეკეთება/შემოწმებისთვის.

დასრულდა ცესკოს ადმინისტრაციულ შენობაში (მეხუთე და მეექვსე სართულებზე) არსებული სატრენინგო ინფრასტრუქტურის მოწყობა და ყველა საჭირო ინვენტარის შესყიდვა. სატრენინგო ინფრასტრუქტურაში (სასწავლო-საცხოვრებელი კომპლექსი) 12 მიმართულებით, ჩატარდა 18 სატრენინგო სესია, რომელსაც საერთო ჯამში, დაესწრო 1 075 მონაწილე.

საარჩევნო უბნების შესაფერის შენობებში განთავსება

საარჩევნო უბნების შესაფერის შენობებში განთავსების ხელშეწყობაზე პასუხისმგებელ უწყებებთან[11], ცესკოს ინიციატივით, გაიმართა სამი სამუშაო შეხვედრა საარჩევნო მიზნებისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ადაპტირებისა და არსებული ადაპტირებული შენობა-ნაგებობების სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის/მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

საარჩევნო მიზნებისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ადაპტირებასთან დაკავშირებით, გამოიკვეთა შემდეგი სახის პრობლემები: ზოგიერთ საჯარო სკოლაში, საკლასო ოთახების სიმცირე, 3 141 საჯარო სკოლის შენობიდან, დაახლოებით 50% არის ავარიული და პანდუსის გაკეთება არ არის შესაძლებელი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური რესურსები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების ადაპტირებისთვის.

არსებული ადაპტირებული შენობა-ნაგებობების სტანდარტთან შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით, ცესკომ, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან[12] თანამშრომლობით, შეიმუშავა მონიტორინგის კითხვარი. კითხვარი მოიცავდა შენობის გარე პერიმეტრის, შენობაში შესასვლელისა და შენობის შიდა პერიმეტრის აღწერის მონაცემებს. ასევე, მომზადდა ვიდეო ინსტრუქცია. პასუხისმგებელი უწყებების მიერ, კითხვარის საშუალებით, მოგროვდა გარკვეული ინფორმაცია, თუმცა ზუსტად ვერ დადგინდა სტანდარტის შესაბამისად ადაპტირებული შენობა-ნაგებობის რაოდენობა.

11 საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

12 მონიტორინგის კითხვარი შემუშავდა არასამთავრობო ორგანიზაციასთან „მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის“ თანამშრომლობით.

ცესკომ დამატებით, საოლქო საარჩევნო კომისიების მეშვეობით, მოაგროვა ინფორმაცია ადაპტირებული საარჩევნო უბნების შესახებ, რომელიც განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 73 საარჩევნო ოლქში შემავალი 3 637 საარჩევნო უბნიდან, ადაპტირებული იყო 1 268 (35%) საარჩევნო უბანი (მარტივი ადაპტაცია – 512, პანდუსი – 756).

მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

საანგარიშო პერიოდში, ცესკოს მიერ ინიცირებულ იქნა საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის, ადმინისტრაციული შენობების ან შენობის ნაწილის გადმოცემის, ზოგიერთ შემთხვევაში, დროებით სარგებლობაში გადმოცემული შენობების ვადის გაგრძელების 13 მოთხოვნა როგორც სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოზე, ისე სხვადასხვა მუნიციპალიტეტებზე. ცესკოს მიერ ინიცირებული ყველა საკითხი დაკმაყოფილდა.

განხორციელდა ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოზე ძველებური ტიპის ლითონის საარჩევნო კაბინების, დიზელ-გენერატორის, 22 862 ერთეული ნაბეჭდი პროდუქციის, 96 ერთეული ცესკოს ბალანსზე რიცხული, დაზიანებული და შემდგომი ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი, სხვადასხვა ინვენტარისა და ავეჯის, ასევე 1 117 დასახელების, შემდგომი ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი საოფისე ტექნიკის და დანადგარების გადაცემა.

განხორციელდა ცესკოს მთავარი საწყობისა და სტამბის საწყობის სრული აღწერა, რის შედეგად, განახლდა მატერიალური მარაგების აღრიცხვის ელექტრონული ბაზა. თითოეულ საწყობზე, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით, დაინიშნა მატერიალურად პასუხისმგებელი პირი, გაფორმდა შესაბამისი მატერიალური პასუხისმგებლობის ხელშეკრულებები. განხორციელდა ცესკოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფა, სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას, დროული რეაგირება და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება.

სახელმწიფო შესყიდვები

2018 წლის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ფარგლებში, გამოცხადდა 101 ელექტრონული ტენდერი, მათ შორის, არ შედგა – 11, შვიდ ტენდერში მონაწილე ვერც ერთმა პრეტენდენტმა ვერ დააკმაყოფილა სატენდერო მოთხოვნები, შეწყვეტილია – ორი ტენდერი. საანგარიშო პერიოდში, გასაჩივრდა ერთი ტენდერი. დავების საბჭოს მიერ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე.

ტენდერებიდან წარმოქმნილმა ეკონომიამ შეადგინა 401 098 ლარი.

ცესკოს სტამბა

ცესკოს სტამბაში სხვა დოკუმენტაციასთან ერთად დაიბეჭდა:

- საქართველოს პარლამენტის 28 აპრილის შუალედური და საქართველოს პრეზიდენტის (I და II ტური) არჩევნებისთვის – ამომრჩეველთა სიები და სიების ფორმები, ამომრჩევლის ბარათები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგებისთვის სავარჯიშოები და ტესტები; არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 მაისის შუალედური არჩევნებისთვის – ამომრჩეველთა სიები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგებისთვის სავარჯიშოები და ტესტები, არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები;
- სწავლების ცენტრის საგრანტო კონკურსის მასალები;
- მასალები ტრენინგისთვის „სამართლებრივი წერა და საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცედურები“;
- მასალები საარჩევნო ადმინისტრაციების მე-8 ყოველწლიური შეხვედრისთვის.

მიზანი 4. იმიჯის განმტკიცება

საიმიჯო-სარეკლამო კამპანია

საანგარიშო პერიოდში, განახლდა ორგანიზაციის საიმიჯო-სარეკლამო კონცეფცია, რომლის მიზანი იყო საარჩევნო ადმინისტრაციასა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერება, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის პოპულარიზაცია, ცნობადობის ზრდა და იმიჯის განმტკიცება. აღნიშნული კონცეფციის ფარგლებში დამზადდა ცხრა საინფორმაციო/საიმიჯო ვიდეორგოლი ცესკოს საქმიანობის შესახებ, მათ შორის, საგანმანათლებლო საბაზისო და პროფილური სწავლების პროგრამების შესახებ, რომელიც საარჩევნო კულტურის განვითარების ხელშეწყობისთვის, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, შესთავაზეს ახალგაზრდებს. ვიდეორგოლები განთავსდა როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული მედიის სატელევიზიო და რადიო ეთერებში. გარდა ამისა, წლის განმავლობაში, როგორც ცესკოს, ისე საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლები, სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, მონაწილეობდნენ სატელევიზიო და რადიო გადაცემებში, სადაც მოსახლეობას აწვდიდნენ ინფორმაციას ცესკოს მიერ განხორციელებული აქტივობებისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ.

საარჩევნო პერიოდში, რეგულარულად ხორციელდებოდა ცესკოსა და ცესკოს თავმჯდომარის სოციალური ქსელების გვერდების ადმინისტრირება, სადაც ქვეყნდებოდა საარჩევნო ადმინისტრაციის მნიშვნელოვანი სიახლეები. ოპერატიულად ხდებოდა რეაგირება მომხმარებელთა მხრიდან დასმულ კითხვებზე, რომელთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა წლის განმავლობაში.

მედიამონიტორინგი

ცესკო, მედიასაშუალებებში, ყოველდღიურად ახორციელებდა, ცესკოსა და ზოგადად, ქვეყნის მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიახლეების მონიტორინგს. მედიამონიტორინგი, დღის განმავლობაში, საშუალოდ, ორჯერ მზადდებოდა და ეგზავნებოდა კომისიის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს. მონიტორინგი მოიცავდა 70-მდე ქართულენოვან საინფორმაციო სააგენტოს, ბეჭდური მედიის ყველა წამყვან გამოცემასა და სატელევიზიო არხების საინფორმაციო პროგრამებს, ასევე იმ გადაცემებს, რომლებიც მზადდება პოლიტიკურ თემებზე. ცესკო, ყველაზე მეტად ცესკოს მოიხსენიებოდა საინფორმაციო სააგენტოებსა და სატელევიზიო ეთერში, შედარებით ნაკლებად რადიოსა და პრესაში.



პირველი დემოკრატიული არჩევნების 100 წლისთავი

2018 წლის მანძილზე, ცესკო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით შემუშავებული ღონისძიებების კონცეფციის მიხედვით, მართავდა და მონაწილეობას იღებდა პირველი დემოკრატიული არჩევნების 100 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს.

26 მაისს, ცესკო შეუერთდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო ღონისძიებებს. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სპეციალურ სივრცეში, განთავსდა ცესკოს პავილიონი, სადაც წარმოდგენილი იყო ინფორმაცია პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების შესახებ საქართველოში. ცესკოს წარმომადგენლები მოსახლეობას აცნობდნენ ინფორმაციას არჩევნებისა და საქართველოს საარჩევნო ისტორიის შესახებ. ცესკოს თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ, დამთვალიერებლებს, პირადად, გააცნო ინფორმაცია დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ. ცესკოს პავილიონის სტუმრებს, საჩუქრად, გადაეცათ გამოცემა „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“.

ქართულ და ინგლისურ ენებზე, მომზადდა და დაიბეჭდა პირველი საარჩევნო კომისიის წევრების ბიოგრაფიები, რომლებიც განთავსდა ცესკოს ბიბლიოთეკაში, გარდა ამისა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ცესკოს ვებგვერდზე[13].

22 ნოემბერს, ცესკოს წარმომადგენლებმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახლობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან, კანტის აკადემიის მოსწავლეებთან და საარჩევნო განვითარების სკოლების კურსდამთავრებულებთან ერთად, აღნიშნეს ცესკოს 100 წლის იუბილე. ცესკოს თავმჯდომარე, თამარ ჟვანია, ახალგაზრდებს ესაუბრა არჩევნების მნიშვნელობის შესახებ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრის განყოფილების ხელმძღვანელმა, ახალგაზრდებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს პირველი საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობის, იმდროინდელი არჩევნებისა და მიმდინარე დემოკრატიული პროცესების შესახებ. ახალგაზრდებმა დაათვალიერეს პირველი საარჩევნო კომისიის წევრების ბიოგრაფიების ამსახველი ფოტო-გამოფენა.

ბროშურა „საარჩევნო ადმინისტრაცია 2018“

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისთვის, ცესკომ მოამზადა საინფორმაციო ბროშურა. ბროშურა ასახავდა საარჩევნო ადმინისტრაციის განვითარების ძირითად მიმართულებებსა და პრიორიტეტებს, კერძოდ: ამომრჩეველთა ინფორმირების, საარჩევნო და სამოქალაქო საგანმანათლებლო პროგრამების, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური სერვისების განვითარების შესახებ, ინფორმაციას. ბროშურაში, ასევე, ასახული იყო ინფორმაცია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი, საყოველთაო, დემოკრატიული არჩევნებისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 100 წლისთავის შესახებ. ბროშურა განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე, ასევე დაიბეჭდა ბროშურის 5 200 ეგზემპლარი (5 000 ცალი ქართულ, ხოლო 200 ცალი – ინგლისურ ენაზე).

13 საქართველოს არჩევნების ისტორია იხილეთ ბმულზე: http://history.cesko.ge/index.html.

საკონსულტაციო მექანიზმების შეთავაზება და კარგი პრაქტიკის გაზიარება სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებისთვის

25 ივნისს, ცესკოსა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი პირები, დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ (IDEA) ორგანიზებული სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, შეხვდნენ მოლდოვას და მონღოლეთის დელეგაციებს. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციამ, მოლდოვას საარჩევნო ადმინისტრაციისა და აუდიტის სამსახურის, ასევე მონღოლეთის აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებს, გაუზიარა გამოცდილება პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხების შესახებ. სწავლების ცენტრის ხელმძღვანელმა, მონაწილეებს გააცნო სწავლების ცენტრის საქმიანობა პარტიების განვითარებისა და მათი დაფინანსების მიმართულებით.

საარჩევნო ადმინისტრაციების ყოველწლიური შეხვედრა

28 თებერვალი-1 მარტის პერიოდში, საქართველოში, გაიმართა საარჩევნო ადმინისტრაციების მერვე ყოველწლიური შეხვედრა თემაზე „ტექნოლოგიები და ინოვაციები მოქალაქეთა ჩართულობისთვის“, რომელიც, ცესკომ, საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრთან და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან თანამშრომლობით ჩაატარა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 21 ქვეყნის[14] საარჩევნო ადმინისტრაციის, 10 საერთაშორისო ორგანიზაციის[15], საქართველოში აშშ-ის საელჩოსა და საარჩევნო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული, ოთხი კომპანიის[16] 105-მა წარმომადგენელმა. 2018 წელს, პირველად, ღონისძიებას კოლუმბიის, ტუნისის, ეკვადორისა და ბანგლადეშის საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენლები შემოუერთდნენ.



საარჩევნო ადმინისტრაციების ყოველწლიური შეხვედრა

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: ინოვაციური სერვისები და ეფექტური საარჩევნო პროცედურები, არჩევნების სანდოობა, ინკლუზიური არჩევნები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ეფექტური კომუნიკაციები, კონფლიქტების მართვა საარჩევნო პროცესებში.

---

14 შეხვედრაში მონაწილე ქვეყნები: ბანგლადეში, ბელარუსი, ბულგარეთი, ეკვადორი, ესტონეთი, ინდოეთი, იორდანია, კოლუმბია, კენია, ლატვია, მექსიკა, მოლდოვა, პაკისტანი, რუმინეთი, სამხრეთ კორეა, საქართველო, სომხეთი, ტუნისი, უკრაინა, ყაზახეთი, ყირგიზეთი.

15 შეხვედრაში მონაწილე საერთაშორისო ორგანიზაციები: აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მულტიპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საქართველოში (UN), დელიან პროექტი, კანადა (The Delian Project), ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ევროპის საბჭო (CoE), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES), საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრი (ICPS), საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI).

16 საარჩევნო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული კომპანიები: Indra (ესპანეთი), Laxton Group (ჩინეთი), Smartmatic (ნიდერლანდები), Voatz (აშშ).



საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა „საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების განხილვა საქართველოს საარჩევნო პროცესში“.

საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა „საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების განხილვა საქართველოს საარჩევნო პროცესში“

5 მარტს, ცესკოსა და სწავლების ცენტრის ინიციატივითა და საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობით, ჩატარდა საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა „საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების განხილვა საქართველოს საარჩევნო პროცესში“. სამუშაო შეხვედრაში, მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო უწყებების, პოლიტიკური პარტიების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, 148 წარმომადგენელმა.



შეხვედრაზე, განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: ხმის დათვლის პროცესის ხელშეწყობა გამოცდილი ტექნოლოგიების გამოყენებით, ამომრჩევლის ბიომეტრიული რეგისტრაცია, უსაფრთხო, გამჭვირვალე და ფინანსურად ხელმისაწვდომი არჩევნები, ელექტრონულად ხმის მიცემა, მონაცემთა აღრიცხვა და დათვლა, ტექნოლოგიების როლი, ელექტრონულად, ხმის დათვლის პროცესში.

ღონისძიების ფარგლებში ,პრეზენტაციები წარადგინეს მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტებმა და საარჩევნო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული კომპანიების[17] წარმომადგენლებმა, ასევე, გამოფენის ფორმატში, მოეწყო საარჩევნო ტექნოლოგიების მუშაობის პრაქტიკული ჩვენება. კითხვა-პასუხის რეჟიმში, ღონისძიების მონაწილეებმა, მიიღეს დეტალური ინფორმაცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აპრობირებული, საარჩევნო ტექნოლოგიების შესახებ. ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე, გიორგი შარაბიძემ, მონაწილეებს ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეებისთვის, მიაწოდა ინფორმაცია განხორციელებული ტექნოლოგიური სერვისების შესახებ.

17 ღონისძიებაში მონაწილე საერთაშორისო ექსპერტები და საარჩევნო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული კომპანიები: საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრი, ლონდონის ბრუნელის უნივერსიტეტი, საარჩევნო ტექნოლოგიების კომპანიები: Smartmatic (აშშ), Electoral Services International Inc. – ESI (კანადა), Voatz (აშშ), Indra (ესპანეთი).

სოციალური აქციები

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა შვიდი სოციალური აქცია.

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე – ცესკოს წარმომადგენლებმა, მონაწილეობა მიიღეს, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში და დაესწრნენ კონფერენციას „რას ვმატებ ჩემს საზოგადოებას“, რომელიც შშმ პირთა დასაქმების კუთხით არსებულ გამოწვევებს ეხებოდა. ცესკოს წარმომადგენლები, ასევე, შეუერთდნენ კამპანიას „წინდა მინდა“.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული – ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა, დახმარება გაუწიეს სოციალურად დაუცველ, 19 ოჯახს, მათ შორის, წეროვანის დევნილთა დასახლებაში მცხოვრებ, სოციალურად დაუცველ და 8 აგვისტოს ომის შედეგად დევნილ, მრავალშვილიან ოჯახებს.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე – ცესკოს თანამშრომლებმა, იაშვილის სახელობის კლინიკის ბაზაზე არსებულ სისხლის ბანკთან თანამშრომლობით, სისხლი გაიღეს, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის.

აქცია „მე ვაშენებ პეგასს“ – ცესკოს აპარატის თანამშრომლებმა, მონაწილეობა მიიღეს აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრ „პეგასის“ მშენებლობის აქციაში.

ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა – ცესკოს აპარატის თანამშრომლები დაესწრნენ „დემოკრატიული განვითარებისა და ინიციატივების ცენტრის“ ორგანიზებით გამართულ სოციალურ საწარმოში დამზადებული, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვას.
დედამიწის დღე – №39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა, მონაწილეობა მიიღეს ასპინძის მუნიციპალიტეტში დასუფთავების აქციაში.

შობა-ახალი წელი – ცესკო თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ, ცესკოს სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებმა და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა, თბილისსა და რეგიონებში, სოციალურად დაუცველ, ცხრა ოჯახს გადასცეს საახალწლო საჩუქრები.





02



სტრატეგიული პრიორიტეტი 2

სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება

მიზანი 1. სამოქალაქო და ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

საინფორმაციო კამპანია საარჩევნო პერიოდში

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის ცესკომ განსაზღვრა საინფორმაციო კამპანიის ძირითადი მიმართულებები ამომრჩეველთა ინფორმირების, მედიასთან ურთიერთობის, არჩევნებში ჩართული მხარეების ინფორმირების კუთხით. საინფორმაციო კამპანიის მიზანი იყო როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და ამომრჩევლებისთვის საარჩევნო პერიოდში და უშუალოდ კენჭისყრის დღეს შეთავაზებული სერვისების შესახებ.

ცესკომ, პრეზიდენტის არჩევნებისთვის, მოამზადა 17 სატელევიზიო და 10 აუდიო რგოლი, რომლებიც განათავსა ცენტრალურ და რეგიონულ ტელევიზიებში, რადიოში, ასევე ხუთ კინოთეატრში. ცენტრალური და რეგიონული საინფორმაციო სააგენტოების ვებგვერდზე, ცესკომ, განათავსა 63 სარეკლამო ბანერი, ასევე საქართველოს მასშტაბით – 17 გარე ბანერი.

ცესკომ გაავრცელა 13 საინფორმაციო განცხადება, აქედან სამი – საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაციის მცდელობის და 10 – საარჩევნო რეგისტრაციების, ღონისძიებათა გრაფიკით გათვალისწინებული საქმიანობებისა და ვადების შესახებ.

ცესკომ, ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში, გამოაქვეყნა 174 პრეს-რელიზი და ხუთი საინფორმაციო ბიულეტენი, საარჩევნო ადმინისტრაციაში მიმდინარე პროცესების შესახებ. აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს, სოციალური ქსელების მეშვეობით, საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ დისკრედიტაციის მიზნით, მცდარი ინფორმაციის გავრცელებას საკმაოდ მასშტაბური ხასიათი ჰქონდა.

საარჩევნო პერიოდში, ცესკოში, გაიმართა 37 საინფორმაციო ბრიფინგი. ჩატარდა ექვსი საინფორმაციო ბრიფინგი საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, 15 – სხვადასხვა პროცედურული საკითხის შესახებ (ამომრჩეველთა რეგისტრაცია, საოლქო და საუბნო კომისიების დაკომპლექტება,

კანდიდატების რეგისტრაციის პროცედურები და ვადები, ბიულეტენების ბეჭდვა, ფოტო-ვიდეო გადაღების რეგულაციები, საზღვარგარეთ მცხოვრები ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის წესები), 16 – არჩევნების დღეს (I და II ტური) კენჭისყრის მიმდინარეობის, აქტივობისა და წინასწარი შედეგების შესახებ.

27 ოქტომბერს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების წინა დღეს, ცესკოს თავმჯდომარემ გამართა შემაჯამებელი საინფორმაციო ბრიფინგი, რომელზეც, საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის სრული მზადყოფნის შესახებ, არჩევნების კანონმდებლობის შესაბამისად და მაღალი პროფესიული სტანდარტებით, ჩატარებისთვის. ცესკოს თავმჯდომარემ მოუწოდა ამომრჩევლებს, არჩევნებში აქტიური მონაწილეობისკენ. მან, ასევე, მიმართა საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა მხარეს და მოუწოდა საზოგადოებრივი ინტერესებისადმი პატივისცემით, მაღალი პასუხისმგებლობითა და კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვით მოქმედებისკენ.

საარჩევნო პერიოდში, ცესკოს ხელმძღვანელი პირების, პრეს-სპიკერის და სხვა წარმომადგენლების მიერ, საერთო ჯამში, გაკეთდა 100-მდე კომენტარი, საარჩევნო ღონისძიებების, პროცედურებისა და სხვა საკითხების შესახებ, მათ შორის, 20 – ცესკოს საპასუხო კომენტარი, საარჩევნო ადმინისტრაციისა და ცესკოს თავმჯდომარის მისამართით გამოთქმულ სხვადასხვა მცდარი და დაუსაბუთებელი განცხადებების შესახებ.

საჯარო სკოლებში XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ახალგაზრდების საარჩევნო ცნობიერების ამაღლებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის მიზნით, განახორციელეს სასწავლო-საინფორმაციო პროექტი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“. საჯარო სკოლების XI-XII კლასის მოსწავლეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: არჩევნების ისტორიული ექსკურსი და თანამედროვეობა, არჩევნები და დემოკრატია, საარჩევნო ადმინისტრაცია და ამომრჩეველი, არჩევნებში ჩართული მხარეები. კურსის ბოლოს, მოსწავლეებმა ჩაატარეს იმიტირებული არჩევნები და გამოავლინეს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების პოპულარიზაციისკენ მიმართული, გამარჯვებული სლოგანი.

პროექტი განხორციელდა ხუთი თვითმმართველი ქალაქის, 108 საჯარო სკოლაში, მონაწილეობა მიიღო 1 857-მა ახალგაზრდამ, მათ შორის, 1 219 (66%) იყო ქალი და 638 (34%) – კაცი.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სემესტრული სასწავლო პროგრამა „საარჩევნო სამართალი“

ცესკოს და სწავლების ცენტრის მიერ, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, 2018 წელს, სწავლების ცენტრმა განახორციელა სასწავლო პროგრამა, საარჩევნო სამართლის დარგში, პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლის სკოლის, იურიდიული, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტების სტუდენტებისთვის. პროგრამა მიზნად ისახავდა, სტუდენტებისთვის, აუცილებელი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას საარჩევნო სამართალში, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას. სწავლების ცენტრმა მოამზადა დამხმარე სახელმძღვანელო, პრაქტიკული სავარჯიშოების კრებული და ელექტრონული პრეზენტაციები.



მოდელირებული სასამართლო პროცესი

სასწავლო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: არჩევნების ცნება, არჩევნების სახეები და პერიოდულობა, საარჩევნო სისტემები, საქართველოს საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები, საარჩევნო პროცესი და საარჩევნო პროცესის მართვის ორგანო, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილებები და მუშაობის წესი, არჩევნებში ჩართული მხარეები, ამომრჩეველთა რეგისტრაცია, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია), წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა, არჩევნების დაფინანსება, კენჭისყრის დრო და ადგილი, საარჩევნო უბნის გახსნა, კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები, კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება, კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება/დადგენა, საარჩევნო დავები, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, საქართველოს პარლამენტის არჩევნები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, თვითმმართველი თემებისა და თვითმმართველი ქალაქების წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები, თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნები, რეფერენდუმი, პლებისციტი.

პროგრამის ფარგლებში, 2-12 ივნისის პერიოდში, გაიმართა მოდელირებული სასამართლო პროცესები იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობით.

პროგრამა განხორციელდა 13 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში[18], მონაწილეობა მიიღო 633-მა სტუდენტმა, მათ შორის, 390 (62%) იყო ქალი და 243 (38%) – კაცი.

საინფორმაციო კურსი ახალგაზრდა ამომრჩევლისთვის (I და II კურსი)

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და არჩევნებში ახალგაზრდა ამომრჩევლის აქტიური ჩართულობის ზრდის ხელშეწყობისთვის, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, ორ ეტაპად, ჩაატარეს საინფორმაციო კურსი „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“. სტუდენტებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: არჩევნების არსი და მისი მნიშვნელობა ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში, საერთაშორისო ვალდებულებები და პრინციპები, საარჩევნო პროცესებში, ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის საკითხები, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, არჩევნებში ჩართული მხარეები და მათი როლი საარჩევნო პროცესში.

საინფორმაციო კურსი განხორციელდა როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში, 12 უნივერსიტეტში[19], მონაწილეობა მიიღო 701-მა სტუდენტმა, მათ შორის, 523 (77%) იყო ქალი და 178 (23%) – კაცი.

18 გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელობის უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი „ALMA MATER“, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი.

19 პროგრამა განხორციელდა შემდეგ 12 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში: გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

20 თბილისი, გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, ახმეტა, რუსთავი, გარდაბანი, მარნეული, დუშეთი, გორი, ახალგორი (წეროვანი, დევნილთა დასახლება), ბორჯომი, ახალციხე, ამბროლაური, საჩხერე, ზესტაფონი, ქუთაისში, სამტრედია, ოზურგეთი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი და ქობულეთი.

სასწავლო პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა“

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, ევროპის საბჭოს (CoE) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერით, განახორციელეს პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ მორიგი ეტაპი. 2018 წელს, პროექტი განხორციელდა 25 „საარჩევნო განვითარების სკოლაში“ – თბილისსა და 23 მუნიციპალიტეტში[20], მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ასევე, საზღვრისპირა რეგიონებში/მუნიციპალიტეტებში.

ათდღიანი სწავლების ფარგლებში, 18-24 წლის ახალგაზრდები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაცია, დამფუძნებელი კრების არჩევნები, დემოკრატიული საარჩევნო პრინციპები, არჩევითი ორგანოები საქართველოში, არჩევნებში ჩართული მხარეები, არჩევნების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა და გენდერული თანასწორობა.

პროექტის 33 წარჩინებული კურსდამთავრებული, ცესკომ, ორი თვის ვადით, დაასაქმა საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტში, მათგან 10-მა – თბილისის, ხოლო 23-მა – სხვა საოლქო საარჩევნო კომისიებში მიიღეს საარჩევნო გამოცდილება.

სასწავლო პროექტში მონაწილეობა მიიღო 472-მა ახალგაზრდამ, მათ შორის, 311 (66%) იყო ქალი და 161 (34%) – კაცი.









სასწავლო პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა“

სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“

ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ განახლებული კონცეფციით, რომელიც ითვალისწინებდა სასწავლო კურსის ჩატარებას პროფილური პროგრამებით. პროექტი განხორციელდა, საარჩევნო საკითხებში, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური საკადრო რესურსის ფორმირების ხელშეწყობისთვის. საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის, სამდღიანი სასწავლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული სწავლების ფორმატში, მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები, კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო უბნის დახურვა, საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები, საარჩევნო ყუთის გახსნა, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე ჩასატარებელი პროცედურები, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა, შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა.

სასწავლო პროფილური პროგრამა, წელს, პირველად განხორციელდა საოლქო საარჩევნო კომისიების პოტენციური იურისტებისთვის. სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული, საინფორმაციო-სასწავლო კურსი ითვალისწინებდა ორდღიან სასწავლო პროგრამას, რომელშიც, მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: საარჩევნო დავების გამომწვევი მიზეზები, კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბანზე, პროცედურული რისკების იდენტიფიცირება, ადმინისტრაციული წარმოება, საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის ორგანიზება და მიმდინარეობა, საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების მომზადება საარჩევნო დავებზე, შესაგებელის ფორმა და რეკვიზიტები.

პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“, საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის, სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა, 87-მა ტრენერმა განახორციელა თბილისსა და ყველა მუნიციპალიტეტში, მონაწილეობა მიიღო 5 551-მა მონაწილემ, მათ შორის, 4 470 (81%) იყო ქალი და 1 081 (19%) – კაცი. პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ საოლქო საარჩევნო კომისიების პოტენციური იურისტებისთვის, განხორციელდა თბილისში, მონაწილეობა მიიღო 128 მონაწილემ, მათ შორის, 77 (60%) იყო ქალი და 51 (40%) – კაცი.

საზღვარგარეთ მცხოვრები ამომრჩევლების ინფორმირება

საანგარიშო პერიოდში, ცესკოს თავმჯდომარემ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, გამართა შეხვედრები საქართველოს დიასპორის წარმომადგენლებთან საბერძნეთში, ათენში, ვებსტერის უნივერსიტეტში და თურქეთში, სტამბოლში, ქართული კულტურის ცენტრში. ღონისძიებები მიეძღვნა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან, 100 წლისთავს. ცესკოს თავმჯდომარემ წარადგინა ფოტო გამოფენა „საქართველოს არჩევნების ისტორია“ და მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია, საქართველოს საარჩევნო სისტემის, საზღვარგარეთ

მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ.

ცესკოს ვებგვერდზე, საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების ინფორმირებისთვის, შეიქმნა სპეციალური ბანერი. კამპანიის ფარგლებში, მომზადდა საინფორმაციო ფლაერი და ვიდეორგოლი, რომლებიც გავრცელდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

ცესკომ, სოციალური ქსელის, ცესკოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდების საშუალებით, გაავრცელა კომისიის თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას სპეციალური ვიდეომიმართვა, რომელშიც, მან, საზღვარგარეთ მცხოვრები ამომრჩევლებისთვის საინტერესო კითხვებს უპასუხა.

ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“

2018 წელს, ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია – „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ განხორციელდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის. კამპანია საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, საარჩევნო ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და შეთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმირებას ითვალისწინებდა. საინფორმაციო კამპანია განხორციელდა ორ ეტაპად. კამპანიის პირველ ეტაპზე (მაისი-ივნისის პერიოდი), 73 საოლქო საარჩევნო კომისიის, 335-მა წევრმა და 400-მა მოხალისემ, მუნიციპალიტეტების ცენტრებისა და სოფლების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, გამართეს 263, ხოლო 73 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ – 76 საჯარო შეხვედრა. ამომრჩევლებსა და ჩართულ მხარეებს გააცნეს ინფორმაცია საარჩევნო უფლების, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების, საარჩევნო პროცესის, არჩევნების ისტორიისა და საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ. საოლქო საარჩევნო კომისიებში გამართულ შეხვედრებში, მონაწილეობა მიიღო 1 681-მა დაინტერესებულმა პირმა.

კამპანიის პირველ ეტაპზე, გავრცელდა საინფორმაციო ფლაერი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და პირველი დემოკრატიული არჩევნებიდან 100 წლის იუბილეს შესახებ.

კამპანიის მეორე ეტაპზე (სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდი), საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ამომრჩეველთა ერთიან სიაში, პირადი მონაცემების გადამოწმების მიზნით, თბილისსა და რეგიონებში ჩაატარეს 97 აქცია – „იპოვე შენი თავი, იპოვე შენი უბანი“. აქციების ფარგლებში, ისინი, მობილური ტელეფონის, პლანშეტისა და სწრაფი გადახდის აპარატის გამოყენებით, დაეხმარნენ პირადი მონაცემებისა და საარჩევნო უბნის ადგილმდებარეობის გადამოწმებაში, დაარიგეს საინფორმაციო ფლაერები და ცესკოს ბრენდირებული პროდუქცია.







2018 წელს, პირველად დაიგეგმა ახალი ინიციატივა, ახალგაზრდების არჩევნებში მონაწილეობის ხელშესაწყობად და აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, ახალგაზრდებმა, რომლებიც პირველად მონაწილეობდნენ არჩევნებში, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, მიიღეს ცესკოს თავმჯდომარის წერილობითი მიმართვა.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის (I და II ტური), ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენელმა, თბილისში, გამართეს 19 აქცია „მოდი არჩევნებზე“. ასევე, თბილისობისა და მცხეთობის დღესასწაულებზე, ღია ცის ქვეშ, გაიმართა აქცია „საარჩევნო ქოლგები“. აქციის ფარგლებში, მოეწყო იმიტირებული კენჭისყრის პროცესი და მოქალაქეებმა, საარჩევნო ყუთში, სიმბოლურად განათავსეს ბარათები წარწერით „მე აქტიური ამომრჩეველი ვარ“.





ვესაუბრებით ამომრჩევლებს



ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“

უფროსებს

მიზანი 2. საარჩევნო კულტურის განვითარება

სასწავლო პროგრამები ჩართული მხარეებისთვის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
3 მაისს, საქართველოს პარლამენტის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტის აპარატს, ცესკოს სწავლების ცენტრსა და სახელმწიფო უწყების 10 საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი[21]. მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები შეთანხმდნენ ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების, რესურსების გაზიარებისა და მაღალი კომპეტენციის მქონე კადრების მომზადების ხელშეწყობის მიმართულებით, თანამშრომლობაზე.

პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა
პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობისთვის, საგრანტო კონკურსის ფარგლებში, საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, სწავლების ცენტრმა 1 414 247.5 ლარით დააფინანსა 15 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია. სწავლება, პარტიების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა შემდეგ საკითხებზე: პარტიების სტრუქტურა, მენეჯმენტი და უფლებრივი მდგომარეობა, პოლიტიკური კულტურა არჩევნებში, დებატები და საარჩევნო ეთიკა, პარტიებისა და კანდიდატების თანაბარი შესაძლებლობები საარჩევნო პროცესში, საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმები, პარტიის როლი უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფაში, ქალთა მონაწილეობის გაზრდის შიდა პარტიული მექანიზმები, პერსონალის და მოხალისეების მართვა.

სწავლების ცენტრმა, კონტრიბუციის სახით, ჩაატარა სწავლება შემდეგ მოდულებზე: საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის წესი, არჩევნების ორგანიზება და კენჭისყრის დღე, საჩივრის/განცხადების შედგენის საფუძველი და ტექნიკა, ასევე, უზრუნველყო სასწავლო პროცესის მხარდაჭერა სურდოთარგმანით.

საქართველოს 11 რეგიონში, საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამა გაიარა, პროექტში მონაწილე 44 პოლიტიკური პარტიის (მათ შორის, 18 კვალიფიციური და 26 არაკვალიფიციური პარტიის) 1 858-მა წარმომადგენელმა.

21 მემორანდუმის ხელმომწერი უწყებები: სწავლების ცენტრი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრი, ფინანსთა სამინისტროს აკადემია, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და სამხარეო ადმინისტრაციების წარმომადგენლებისთვის

24 აგვისტო-5 სექტემბრის პერიოდში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა ჩაატარეს ტრენინგი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა როლი საარჩევნო პროცესებში და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა“. ტრენინგზე განიხილეს შემდეგი საკითხები: მუნიციპალიტეტის ორგანოთა როლი საარჩევნო პროცესებში, არჩევნების სანდოობა და საჯარო მოხელეების როლი (შეზღუდვები, რომელიც ვრცელდება საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებზე), თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა, ადმინისტრაციული რესურსებისა და საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა.

ტრენინგი გაიარა ყველა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების, აღმასრულებელი ორგანოების – მერიებისა და სამხარეო ადმინისტრაციის 174-მა წარმომადგენელმა, მათ შორის, 105 (60%) იყო ქალი და 69 (40%) – კაცი.

სამუშაო შეხვედრა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებთან

6-7 სექტემბერს, ცესკომ და სწავლების ცენტრმა ჩაატარეს სამუშაო შეხვედრა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მიმართულებით მომუშავე, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელ პირებთან და იუსტიციის სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს წარმომადგენლებთან, შემდეგ საკითხებზე: ადმინისტრაციული რესურსების, საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვისა და საჯარო მოხელეების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შესახებ. იუსტიციის სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს წარმომადგენლებმა, შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს ინფორმაცია სამდივნოს საქმიანობისა და უფლებამოსილების შესახებ.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა საჯარო მოხელემ.

სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან

2-7 ოქტომბერს, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერით, ჩაატარეს სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრა ცენტრალური და რეგიონული მედია საშუალებების წარმომადგენლებთან.

შეხვედრის ფარგლებში, მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეები, მედიის როლი საარჩევნო პროცესში, კენჭისყრის დღე და ფოტო-ვიდეო გადაღების რეგულაციები, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა და გენდერული თანასწორობა, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს გააცნეს შემდეგი საკითხები: არჩევნების უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები, უსაფრთხო საარჩევნო გარემოს

უზრუნველყოფის საკანონმდებლო მექანიზმები, საერთაშორისო გამოცდილება არჩევნების გაშუქების თვალსაზრისით, გაშუქების ძირითადი სქემები, არჩევნების უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები. მედიის წარმომადგენლებს გადაეცათ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული დამხმარე სახელმძღვანელოები.

სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 19 ცენტრალური მედია ორგანიზაციის 21-მა წარმომადგენელმა, მათ შორის, 18 (86%) იყო ქალი და სამი (14%) – კაცი. ასევე რეგიონული მედიის, 25 ტელე/რადიო და 26 ბეჭდური/ონლაინ მედიის 61-მა წარმომადგენელმა, მათ შორის, 44 (72%) იყო ქალი და 17 (28%) – კაცი.

სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

19 და 21 სექტემბერს, სწავლების ცენტრის, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა, არჩევნებისთვის რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, გააცნეს საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები და განიხილეს შემდეგი საკითხები: კენჭისყრის დღე და საარჩევნო ოპერაციების მართვა, არჩევნებში ჩართული მხარეების უფლებრივი მდგომარეობა, კენჭისყრის დღის საჩივრის/განცხადების შედგენის საფუძველი და ტექნიკა, ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება, ასევე, უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის საკანონმდებლო მექანიზმები და არჩევნების უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები, კენჭისყრის შედეგების შეჯამება.

სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 27 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის 49 წარმომადგენელმა, მათ შორის, 26 (53%) იყო ქალი და 23 (47%) – კაცი.

სასწავლო-საინფორმაციო კურსი პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისთვის

15-16 ოქტომბერს, სწავლების ცენტრმა, პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრთან თანამშრომლობით, განახორციელა სასწავლო-საინფორმაციო კურსი პენიტენციური სისტემის წარმომადგენლებისთვის. მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში საარჩევნო პროცესების ორგანიზება, სააგიტაციო მასალების განთავსებისა და ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულების, მსჯავრდებულების ინფორმირების წესი, საარჩევნო უბანზე და გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის პროცედურები. მონაწილეებს გადაეცათ, სწავლების ცენტრისა და პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის მიერ შემუშავებული, დამხმარე სახელმძღვანელოები.

სასწავლო-საინფორმაციო კურსი გაიარა პენიტენციური სისტემის 28 თანამშრომელმა, მათ შორის, შვიდი (25%) იყო ქალი და 21 (75%) – კაცი.

სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებთან
23-25 ოქტომბერს, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერით, გამართეს სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრა, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიების/საინიციატივო ჯგუფებისა და პრეზიდენტობის კანდიდატების წარმომადგენლებთან. მონაწილეები გაეცნენ საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეებს და განიხილეს შემდეგი საკითხები: კენჭისყრის დღე და საარჩევნო ოპერაციების მართვა, არჩევნებში ჩართული მხარეების უფლებრივი მდგომარეობა, კენჭისყრის დღის საჩივრის/განცხადების შედგენის საფუძველი და ტექნიკა, ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება.

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეებს გააცნეს უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის საკანონმდებლო მექანიზმები და არჩევნების უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები.

სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 14 საარჩევნო სუბიექტის 47-მა წარმომადგენელმა, მათ შორის, 26 (49%) იყო ქალი და 23 (51%) – კაცი.

არჩევნების პოპულარიზაციისკენ მიმართული ღონისძიებები

ახალგაზრდული დებატ-კლუბი 2018
8 თებერვალს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსებულ რვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან პარტნიორობით, სწავლების ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა კონკურსი „ახალგაზრდული დებატ-კლუბი 2018“. პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდა ამომრჩევლების ინფორმირებისა და საარჩევნო პროცესში სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლების ხელშეწყობას.

ახალგაზრდული დებატ-კლუბი ჩატარდა სამ ეტაპად: ჯგუფური ეტაპი – ერთმანეთს დაუპირისპირდა რვა გუნდი და გამოვლინდა ოთხი გამარჯვებული, სადებატო თემა – „აქტიური საარჩევნო უფლება უნდა იყოს დაშვებული 16 წლის ასაკიდან?“. ნახევარფინალი – ერთმანეთს დაუპირისპირდა, ჯგუფურ ეტაპზე გამარჯვებული, ოთხი გუნდი, სადებატო თემა – „აქტიური საარჩევნო უფლება უნდა იყოს სავალდებულო?“. ფინალი – ერთმანეთს დაუპირისპირდა ნახევარფინალურ ეტაპზე გამარჯვებული ორი გუნდი – ააიპ კარგი მმართველობის ინსტიტუტი და ააიპ რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი „თანაზიარი“. სადებატო თემა – „არჩევნების ელექტრონულად ჩატარება კარგი საშუალებაა?“.

გამარჯვებული გუნდი გამოავლინა ჟიურიმ, რომელსაც წარმოადგენდნენ ცესკოს, სწავლების ცენტრისა და თბილისის საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გამარჯვებულად გამოვლინდა ააიპ რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდ „თანაზიარის“ გუნდი. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

საარჩევნო ბიბლიოთეკა

საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური მეხსიერების შექმნის მიზნით, ცესკოში დაარსდა საარჩევნო ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილია საარჩევნო ლიტერატურა და ადმინისტრაციის ისტორიის ამსახველი მასალები. ბიბლიოთეკაში განთავსდა, ცესკოს მიერ, სხვადასხვა წლებში, მიღებული საერთაშორისო ჯილდოები. საარჩევნო ბიბლიოთეკის ფორმირებით მოხერხდა საგამოფენო და საბიბლიოთეკო ფონდში არსებულ დოკუმენტების/ექსპონატების შესახებ, მონაცემების დაარქივება და მათი დაცვა.

ღია კარის დღე

საანგარიშო პერიოდში, ცესკომ, ცხრაჯერ გამართა ღია კარის დღე, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის:

- 1 თებერვალი – არჩევნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის;
- 11 აპრილი და 29 მაისი – „კანტის აკადემიის“ მოსწავლეებისთვის;
- 16 მაისი – „ახალგაზრდების გაძლიერების ლაბორატორიის“ წარმომადგენლებისთვის;
- 25 მაისი – „ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის ცენტრის“ წარმომადგენლებისთვის;
- 26 ივნისი – „კარგი მმართველობის ინსტიტუტის“ წარმომადგენლებისთვის;
- 6 ივლისი – ორგანიზაცია „ევროპული საგანმანათლებლო ცენტრის“ პროექტის მონაწილეებისთვის;
- 22 ნოემბერი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, კანტის აკადემიის მოსწავლეებისთვის და საარჩევნო განვითარების სკოლების კურსდამთავრებულებისთვის;
- 13 დეკემბერი – ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის სამოქალაქო კლუბის მოსწავლეებისთვის.

პროგრამის ფარგლებში, მონაწილეები შეხვდნენ ცესკოს თავმჯდომარესა და სხვა ხელმძღვანელ პირებს, გაეცნენ სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის საქმიანობას, მიიღეს ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული პროექტების, არჩევნების მნიშვნელობის, საარჩევნო პროცესის ორგანიზების შესახებ, ასევე სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ კენჭისყრის იმიტირებულ პროცესში მიიღეს მონაწილეობა. ახალგაზრდებმა ცესკოში არსებული ფოტო გამოფენა „არჩევნების ისტორია საქართველოში“ და საარჩევნო ბიბლიოთეკა დაათვალიერეს.











ღია კარის დღეები ცესკოში

საინფორმაციო კამპანია ახალგაზრდა ამომრჩევლებისთვის

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში, 18-დან 21 წლამდე ახალგაზრდა ამომრჩევლების გააქტიურებისთვის, სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა, 16 აპრილის საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ 11 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, გამართეს შეხვედრები ახალგაზრდებთან თბილისსა და რეგიონებში[22]. შეხვედრებზე ახალგაზრდებს მიეწოდათ ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და საარჩევნო უფლების შესახებ. ხმის მიცემის პროცედურის შესახებ პრაქტიკული ცოდნის მიღების მიზნით, ახალგაზრდებისთვის, გაიმართა იმიტირებული კენჭისყრის პროცესი.

სხვადასხვა ორგანიზაციებში/დაწესებულებებში შიდა არჩევნების ჩატარების ხელშეწყობა

ცესკომ, უფლებამოსილების ფარგლებში, ტექნიკური დახმარება აღმოუჩინა 39 ორგანიზაციას არჩევნების ორგანიზებაში და ამ მიზნებისთვის, დროებით სარგებლობაში, გადასცა სხვადასხვა საარჩევნო ინვენტარი.

22 საინფორმაციო კამპანია გაიმართა თბილისში, კახეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, მცხეთა მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, სამეგრელოში, ზემო სვანეთში, გურიასა და აჭარაში.

მიზანი 3. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა

საგრანტო კონკურსები

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, ცესკოს განკარგულებების საფუძველზე, სწავლების ცენტრმა 2018 წლის 8 თებერვალს, 16 აპრილსა და 17 ივლისს, გამოაცხადა სამი საგრანტო კონკურსი. საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, სწავლების ცენტრმა სულ დააფინანსა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების 68 პროექტი, დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 2 381 571 ლარი.

8 თებერვალს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე შემოვიდა 62 საგრანტო განაცხადი. საგრანტო საკონკურსო კომისიის[23] გადაწყვეტილების საფუძველზე, სწავლების ცენტრმა დააფინანსა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების 23 პროექტი, დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 1 653 018 ლარი, რაც ცესკოს მიერ განსაზღვრული[24] დაფინანსების შემდეგ, ორი მიმართულებით, შემდეგნაირად განაწილდა:

პირველი მიმართულება: ახალგაზრდა ამომრჩეველი და სამოქალაქო აქტიურობა საზოგადოებრივ- პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში. აღნიშნული მიმართულებით, შემოვიდა 44 განაცხადი, დაფინანსდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, 8 საგრანტო პროექტი. დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 238 770.50 ლარი.

მეორე მიმართულება: პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მიმართულებით, შემოვიდა 18 განაცხადი, დაფინანსდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, 15 საგრანტო პროექტი. დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 1 414 247.50 ლარი.

საგრანტო პროექტების განხორციელების პროცესში, სწავლების ცენტრმა, კონტრიბუციის სახით, უზრუნველყო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების სწავლება.

16 აპრილს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე შემოვიდა 64 საგრანტო განაცხადი. საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, სწავლების ცენტრმა დააფინანსა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების 29 პროექტი, დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 545 761 ლარი, რაც ცესკოს მიერ განსაზღვრული[25] დაფინანსების შემდეგ, სამი მიმართულებით, შემდეგნაირად, განაწილდა:

23 საგრანტო საკონკურსო კომისია დაკომპლექტებულია შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახაზინო/საბიუჯეტო დაწესებულებების წარმომადგენლებით.

24 ცესკოს 2018 წლის 22 იანვრის №9/2018 განკარგულება.

25 ცესკოს 2018 წლის 6 აპრილის №93/2018 განკარგულება.

პირველი მიმართულება: ამომრჩეველთა ინფორმირება, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის. აღნიშნული მიმართულებით, დაფინანსდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, 11 საგრანტო პროექტი. დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 208 156.5 ლარი.

მეორე მიმართულება: ახალგაზრდა ამომრჩეველთა საარჩევნო ცნობიერებისა და სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლების ხელშეწყობა, 2018 წლის, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის. აღნიშნული მიმართულებით, დაფინანსდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, 11 საგრანტო პროექტი. დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 208 310.1 ლარი.

მესამე მიმართულება: მოწყვლადი ჯგუფებისა და ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის. აღნიშნული მიმართულებით, დაფინანსდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, შვიდი საგრანტო პროექტი. დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 129 294.4 ლარი.

17 ივლისს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე, საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, სწავლების ცენტრმა დააფინანსა პროექტები, ცესკოს მიერ განსაზღვრული[26] დაფინანსების, ერთ მიმართულებაზე:

საკონკურსო თემატიკა: ადგილობრივი მაუწყებელი, ამომრჩეველთა ინფორმირებისა და საარჩევნო ცნობიერების ამაღლებისთვის. აღნიშნულ თემატიკაზე შემოვიდა 35 განაცხადი, დაფინანსდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, 16 საგრანტო პროექტი. დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 182 792 ლარი.

პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების უზრუნველყოფა

პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საფუძველზე, ცესკომ და სწავლების ცენტრმა უზრუნველყვეს პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, მათ შორის კვლევების, სწავლებების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების განხორციელებისთვის[27]. ინფორმაცია იხილეთ ცხრილში (4).

26 ცესკოს 2018 წლის 13 ივლისის №149/2018 განკარგულება.

27 ინფორმაცია პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების შესახებ განთავსებულია ცესკოს პორტალზე https://funding.cec.gov.ge.

ცხრილი 4.

N	მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების დასახელება	დაფინანსება ცესკო	დაფინანსება ფონდი	სულ
1	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	2 080 940	336 676	2 417 616
2	თავისუფალი დემოკრატები	512 196	168 340	680 536
3	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	472 812	168 340	641 152
4	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	991 728	168 340	1 160 068
5	საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია	378 852	112 224	491 076
6	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	390 428	112 224	502 652
7	ევროპული საქართველო	1 036 128	168 340	1 204 468
8	მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის	507 180	168 340	675 520
9	დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო	241 620	84 168	325 788
10	თავისუფალი საქართველო	87 024	28 056	115 080
11	ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	241 620	83 260	324 880
12	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	1 270 992	336 676	1 607 668
13	ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი	87 024	28 056	115 080
14	თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზა	87 024	28 056	115 080
15	საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა	87 024	28 056	115 080
16	ახალი ქრისტიან-დემოკრატები	87 024	28 056	115 080
17	მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის	195 516	84 168	279 684
18	სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველო	195 516	84 168	279 684
19	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	634 167	168 340	802 507

შეხვედრები ცესკოში არსებულ სამუშაო ჯგუფებთან

ტექნიკური სამუშაო ჯგუფი

საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების ინფორმირებისთვის, ცესკოში, გაიმართა ტექნიკური სამუშაო ჯგუფის ექვსი შეხვედრა. შეხვედრების მონაწილეები, სამუშაო ჯგუფის წევრი ორგანიზაციების მიერ, საარჩევნო კუთხით განხორციელებულ პროექტებს და საქმიანობებს განიხილავდნენ. რეგულარული შეხვედრები იმართებოდა, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამასთან თანამშრომლობით. მასში მონაწილეობას იღებდნენ, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები.

ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი

საანგარიშო პერიოდში, ცესკოში, გაიმართა ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის, ორი შეხვედრა შემდეგ საკითხებზე:

- 8 თებერვალს – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, 2017 წლის არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობისა და მათი ინფორმირებისთვის, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული აქტივობები. შეხვედრას დაესწრო სამუშაო ჯგუფის 28 წევრი;
- 18 დეკემბერს – საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა მონაწილეობასთან დაკავშირებით, გამოწვევები და რეკომენდაციები. შეხვედრას დაესწრო სამუშაო ჯგუფის 15 წევრი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფი

საანგარიშო პერიოდში, ცესკოში, გაიმართა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ოთხი შეხვედრა შემდეგ საკითხებზე:

- 16 თებერვალს – საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, შშმ პირთათვის, საარჩევნო პროცესში ჩართულობის კუთხით ,განხორციელებული საქმიანობა. შეხვედრას დაესწრო სამუშაო ჯგუფის 22 წევრი;
- 11 მაისს – შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა, ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის, საარჩევნო უბნების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;
- 17 ოქტომბერს – საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, შშმ პირებთან დაკავშირებით განხორციელებული საქმიანობის შუალედური ანგარიშის წარდგენა და სტანდარტის შესაბამისად ადაპტირებული, საარჩევნო უბნების შესახებ პასუხისმგებელი უწყებების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ, ინფორმაციის მიწოდება. შეხვედრას დაესწრო სამუშაო ჯგუფის 25 წევრი;
- 17 დეკემბერს – საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში, შშმ პირთა მონაწილეობასთან დაკავშირებით, გამოწვევები და რეკომენდაციები. შეხვედრას დაესწრო სამუშაო ჯგუფის 17 წევრი.





ცესკოში შექმნილი სამუშაო ჯგუფების შეხვედრები

შეხვედრა ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ საკანონმდებლო წინადადებებთან დაკავშირებით

5 აპრილს, ცესკომ, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, გააცნო საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მომზადებული, განსახორციელებელი ცვლილებები. დოკუმენტი, საკანონმდებლო წინადადებების სახით, განსახილველად, წარედგინა საკანონმდებლო ორგანოს.

ცესკოს თავმჯდომარემ და სხვა ხელმძღვანელმა პირებმა, შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია, აღნიშნული ცვლილებების საჭიროებისა და საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწის აუცილებლობის შესახებ.

ცესკოში გამართული შეხვედრები საერთაშორისო პარტნიორებთან

შეხვედრა ნიდერლანდების სამეფოს ელჩთან

22 თებერვალს, ცესკოს თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ გამართა შეხვედრა საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს ელჩთან, იოჰანეს დოუმასთან. შეხვედრაზე, განიხილეს საარჩევნო პროცესი საქართველოში, არსებული მიღწევები, სამომავლო გამოწვევები და ასევე, საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს საარჩევნო ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობა.

ცესკოს თავმჯდომარემ, ნიდერლანდების სამეფოს ელჩს, მიაწოდა ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციების მე-8 ყოველწლიური შეხვედრის, მისი თემატიკისა და მიზნების შესახებ.

შეხვედრა ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის წარმომადგენელთან

7 მაისს, ცესკოს თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ და ხელმძღვანელმა პირებმა, გამართეს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა ადამიანის უფლებათა ცენტრის პარტნიორი ორგანიზაციის, ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მრჩეველთან, ოგე ბორჩევიკთან. შეხვედრაზე, განიხილეს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის განსახორციელებელი საქმიანობები, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეებისთვის, შეთავაზებული ახალი ინიციატივები და სერვისები.

შეხვედრა შვეიცარიის ელჩთან საქართველოში

19 ივლისს, ცესკოს თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ, გამართა შეხვედრა შვეიცარიის ელჩთან საქართველოში, ლუკას ბეგლინგერთან. შეხვედრაზე, განიხილეს საარჩევნო გარემო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მოსამზადებელი პერიოდი. ცესკოს თავმჯდომარემ, შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილებებისა და საგანმანათლებლო პროექტების შესახებ, რომლებსაც საარჩევნო ადმინისტრაცია, ამომრჩეველთა ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით ახორციელებდა.

შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის თანამშრომელთა დელეგაციის წევრებთან

21 აგვისტოს, ცესკოს თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ და ხელმძღვანელმა პირებმა გამართეს შეხვედრა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ, ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) კონგრესის თანამშრომელთა დელეგაციის წევრებთან. შეხვედრაზე, განიხილეს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის მზადების პროცესი. ცესკოს თავმჯდომარემ, დელეგაციის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროექტების, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

შეხვედრა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან

3 სექტემბერს, ცესკოს თავმჯდომარემ და ხელმძღვანელმა პირებმა გამართეს შეხვედრა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საარჩევნო სიტემების საერთაშორისო ფონდის, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, გაეროს განვითარების პროგრამის და ევროკავშირის, ასევე დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდებისა და შვეიცარიის საელჩოების წარმომადგენლებმა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა და მონაწილეებმა განიხილეს პრეზიდენტის არჩევნების მზადების პროცესი.

შეხვედრა აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან

17 სექტემბერს, ცესკოს თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ და ხელმძღვანელმა პირებმა გამართეს შეხვედრა აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან, ელიზაბეთ რუდთან, საელჩოს პოლიტიკურ ოფიცერთან, ქრისტი მორდჰოსტთან და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის დირექტორთან, პიტერ ვიბლერთან. შეხვედრაზე, განიხილეს წინასაარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული საკითხები და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული და მიმდინარე საქმიანობები.

შეხვედრა „ვესტმინსტერის ფონდი დემოკრატიისთვის“ მრავალპარტიული ოფისის წარმომადგენლებთან

9 ნოემბერს, ცესკოს წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრა „ვესტმინსტერის ფონდი დემოკრატიისთვის“ მრავალპარტიული ოფისის დელეგაციის წევრებთან. შეხვედრაზე, განიხილეს ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა, შშმ პირთა უფლებების კონვენციის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის, საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად, შშმ პირებისთვის, საარჩევნო უფლების რეალიზების ხელშეწყობის თვალსაზრისით, შეთავაზებული სერვისების შესახებ. „ვესტმინსტერის ფონდი დემოკრატიისთვის“ მრავალპარტიული ოფისის წარმომადგენლებმა, შეხვედრის მონაწილეებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.

შეხვედრა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის ახლად არჩეულ პრეზიდენტთან

6 დეკემბერს, ცესკოს თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ გამართა შეხვედრა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის ახლად არჩეულ პრეზიდენტ ენტონი ბანბერისთან, პროექტის ხელმძღვანელ ქეთი მაისურაძესა და ევროპისა და ევრაზიის პროგრამის ოფიცერ ქეთი შუბითიძესთან. IFES-ის პრეზიდენტმა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ არჩევნების ადმინისტრირების მიმართულებით საარჩევნო ადმინისტრაციის წარმატება ცალსახაა. მისივე თქმით, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია მნიშვნელოვნად განვითარდა.

შეხვედრა საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან

21 ნოემბერს, ცესკოს თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ გამართა შეხვედრა საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან, როს უილსონსთან, საქართველოში აშშ-ს ელჩის მოადგილესთან, ელისაბედ რუდთან, საელჩოს პოლიტიკურ ოფიცერთან, ქრისტი მორდჰოსტთან და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიის, მმართველობისა და სოციალური განვითარების ოფისის ხელმძღვანელთან. შეხვედრაზე, განიხილეს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურისთვის მზადების პროცესი და მიმდინარე საარჩევნო საკითხები.



შეხვედრა საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან



შეხვედრა აშშ-ის კონგრესის თანამშრომელთა დელეგაციის წევრებთან



შეხვედრა აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან



შეხვედრა ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლეს კომისართან



03

სტრატეგიული პრიორიტეტი 3

საარჩევნო გარემო

სტრატეგიული პრიორიტეტი 3: საარჩევნო გარემო

მიზანი 1. სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწაში მონაწილეობა

ჩატარებული არჩევნების სამართლებრივი ანალიზი და რეკომენდაციები

ცესკომ შეისწავლა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნების დროს, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები და გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით, საოლქო საარჩევნო კომისიებს გაეგზავნათ ცესკოს თავმჯდომარის წერილები შესაბამისი შენიშვნების მითითებითა და მათი გამოსწორების შესახებ, სამომავლო რეკომენდაციებით. გამოვლენილი ხარვეზების გაანალიზების საფუძველზე, მომზადდა პრაქტიკული სავარჯიშოები, რომლებიც გამოყენებულ იქნა საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის გამართულ ტრენინგებზე.

ჩატარებული არჩევნების შესახებ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზი

ცესკომ შეისწავლა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნების შესახებ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, ცესკომ, მოამზადა საქართველოს ორგანულ კანონებში – „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, განსახორციელებელი ცვლილებების პროექტები, შესაბამისი განმარტებითი ბარათებით და საკანონმდებლო წინადადებების სახით, წარუდგინა საქართველოს პარლამენტს. საკანონმდებლო ორგანომ , საკანონმდებლო ინიციატივად ჩამოაყალიბა და გაიზიარა წარდგენილი წინადადებების უმეტესი ნაწილი. განხორციელებული ცვლილებების თანახმად:

- დაზუსტდა ჩასატარებელი არჩევნებისთვის/რეფერენდუმისთვის, საარჩევნო ღონისძიებებისა და პროცედურების საწყისი ვადები და განისაზღვრა, რომ იგი აითვლება არჩევნების/რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის დღიდან;
- აიკრძალა ისეთი ინფორმაციის ან მონაცემების ფოტო-ვიდეო გადაღება, ან სხვაგვარი დამუშავება, რომელიც საარჩევნო კოდექსის შესაბამისად არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დამუშავება ან გადაღება გათვალისწინებულია საარჩევნო კოდექსით;

- ცესკოს მიენიჭა უფლებამოსილება, დადგენილებით განსაზღვროს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნის პირობები;
- განისაზღვრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მოქმედების ვადა და ამ პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნის წესი, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის;
- კომისიის წევრის გამოწვევა აიკრძალა კენჭისყრის დღესა და კენჭისყრის დღის მომდევნო დღესაც;
- ბოლო საერთო არჩევნებისას რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციას უფლება მიეცა, გაეცნოს ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებულ ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებულ ვერსიას არასაარჩევნო პერიოდში;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანასთან დაკავშირებით, სავალდებულო გახდა ამომრჩევლის მიერ მისი პირადი ნომრის მითითება;
- ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებად რეგისტრაციისთვის წესდების/სადამფუძნებლო დოკუმენტის ნაცვლად მოხდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენა (ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) მითითებით);
- საარჩევნო სუბიექტს მიენიჭა წარმომადგენლის გამოწვევის ან/და შეცვლის უფლება ნებისმიერ დროს, გარდა კენჭისყრამდე ერთი დღით ადრე და კენჭისყრის დღისა;
- საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ამონაწერის წარდგენის ვალდებულება დაეკისრათ ასევე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს მათი წარმომადგენლებისთვის აკრედიტაციის მინიჭების მიზნით, გარდა უცხო ქვეყნის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსი;
- პროცედურის გამარტივების მიზნით, საკონტროლო ფურცელზე აღარ მიეთითება მონაცემები პირველი ამომრჩევლის რეგისტრაციის მისამართისა და მისი ყუთში ჩაგდების ზუსტი დროის შესახებ;
- დაზუსტდა საკითხები, რომლებიც უკავშირდება საარჩევნო დავებს და მოსარჩელე პირთა წრეს;
- დარეგულირდა პრეზიდენტის არჩევნებისას კანდიდატების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურები და წესი.

დავების სახელმძღვანელო და ერთგვაროვანი პრაქტიკის დოკუმენტი

ცესკომ, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, კანონში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, განაახლა სამი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო: ადმინისტრაციული რესურსების შესახებ, საარჩევნო დავების და დისციპლინური სახდელების დაკისრების შესახებ (ერთგვაროვანი პრაქტიკის დოკუმენტი).

აღნიშნული დოკუმენტები ითარგმნა ინგლისურ ენაზე. დოკუმენტი გავრცელდა არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის. ასევე, აღნიშნული სახელმძღვანელოების გამოყენებით, ტრენინგები ჩაუტარდათ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებს.

საკანონმდებლო საკითხებზე, საარჩევნო დავებზე ტრენინგ-პროგრამების უზრუნველყოფა საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე

1-7 ოქტომბერს, ექვს რეგიონში, ცესკომ გამართა ტრენინგები საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და იურისტებისთვის, საარჩევნო საკითხებზე. ტრენინგების მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: კენჭისყრის დღესთან დაკავშირებული, საარჩევნო დავები, დისციპლინური სახდელების გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკა, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, საჩივრების რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები და საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეები.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 73 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, კომისიების იურისტებმა და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის ზოგიერთმა თანამშრომელმა.

მიზანი 2. არჩევნების მთლიანობის (Integrity) უზრუნველყოფა

უსაფრთხო საარჩევნო პროცესი

არჩევნების სანდოობისა და მთლიანობის მართვას საარჩევნო ადმინისტრაცია ახორციელებდა არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმის შესაბამისად. გეგმის საფუძველზე, არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ცესკოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) შორის

13 სექტემბერს, ცესკოს თავმჯდომარემ და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. დოკუმენტი მომზადდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან თანამშრომლობითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მხარეები შეთანხმდნენ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცესის უსაფრთხო, მშვიდ და თავისუფალ გარემოში ჩატარების ხელშეწყობაზე. მემორანდუმის ფარგლებში, დაიგეგმა ერთობლივი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება.



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ცესკოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) შორის

თანამშრომლობის მემორანდუმი სწავლების ცენტრსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას შორის

27 სექტემბერს, სწავლების ცენტრის დირექტორმა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს. მხარეები შეთანხმდნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისა და საარჩევნო კომისიების წევრებისთვის, არჩევნების უსაფრთხოების კუთხით სასწავლო-საინფორმაციო პროგრამის შემუშავებაზე. მემორანდუმის ფარგლებში, სწავლების ცენტრმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ, არჩევნებში ჩართულ მხარეებს შესთავაზეს სასწავლო-საინფორმაციო პროგრამები, არჩევნების უსაფრთხოების საკითხებზე.



თანამშრომლობის მემორანდუმი სწავლების ცენტრსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას შორის

სასწავლო-საინფორმაციო კურსი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის

8-18 ოქტომბერს, სწავლების ცენტრსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, აკადემიაში, სწავლების ცენტრის, აკადემიისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლებმა ჩაატარეს სასწავლო-საინფორმაციო კურსი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის. მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: არჩევნების უსაფრთხოების კონცეფცია და საერთაშორისო სტანდარტები, საარჩევნო უბანზე, კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას უსაფრთხოების მიმართულებით, რისკების იდენტიფიცირება, რისკების პრევენცია და ეფექტიანი კომუნიკაცია საარჩევნო ადმინისტრაციასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის, რეაგირების მექანიზმები, უსაფრთხო და მშვიდობიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად, არჩევნების თავისუფალ, უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფა შსს-ის მიერ, არჩევნების პერიოდში, შსს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია (პოლიციის ეთიკის კოდექსის მიხედვით), წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დროს გამოვლენილ სამართალდარღვევათა დახასიათება და მათზე რეაგირების პროცედურული ნორმები (ადმინისტრაციულ სამართლებრივი და სისხლის სამართლებრივი).

არჩევნების უსაფრთხოების შესახებ, სასწავლო-საინფორმაციო კურსი, ასევე, ჩაუტარდათ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების, საარჩევნო სუბიექტებისა და მედიის წარმომადგენლებს.

სასწავლო მოდული „არჩევნები და უსაფრთხოება“ გაიარა საარჩევნო კომისიების, 44 000-მდე წევრმა, ასევე კრიმინალური და საპატრულო პოლიციის, საშუალო და მაღალი მენეჯერული რგოლის, 792-მა წარმომადგენელმა.





სასწავლო-საინფორმაციო კურსი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის

დისტანციური სასწავლო პროგრამა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის

ცესკოს სწავლების ცენტრმა, პოლიციელებისთვის, შეიმუშავა არჩევნების უსაფრთხოების საკითხებზე ინფორმაციის მიღების დამატებითი რესურსი – დისტანციური სასწავლო პროგრამა. პროგრამა განთავსდა შსს აკადემიის, ელექტრონული სწავლების პორტალსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდზე. აღნიშნული კურსი, ელექტრონული ფორმით, გაიარა კრიმინალური და საპატრულო პოლიციის, 8 000-მდე თანამშრომელმა.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების ქცევის (ეთიკის) კოდექსი

1 ოქტომბერს, ცესკომ და 30-მა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ ხელი მოაწერეს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის შემუშავებულ, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების ქცევის (ეთიკის) კოდექსს. აღნიშნული დოკუმენტი გულისხმობდა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციასა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს შორის შეთანხმებას, პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ დაიცავდნენ კანონის უზენაესობას, იქნებოდნენ მიუკერძოებლები და ობიექტურები, იხელმძღვანელებდნენ საარჩევნო პროცესში საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით, რითაც, ხელს შეუწყობდნენ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების სამართლიან და გამჭვირვალე გარემოში ჩატარებას.





ქცევის (ეთიკის) კოდექსის ხელის მოწერა

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების „ეთიკის პრინციპები“

6 ოქტომბერს, გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების „ეთიკის პრინციპების“ დოკუმენტის წარდგენა, რომელსაც, კანდიდატებთან და მათ წარმომადგენლებთან ერთად, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები დაესწრნენ. დოკუმენტი, ერთობლივად შეიმუშავეს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილე კანდიდატებმა და მათ წარმომადგენლებმა, შვეიცარიის მთავრობის მხარდაჭერითა და ცესკოს ფასილიტაციით. საქართველოს საარჩევნო პრაქტიკაში, აღნიშნული ინიციატივა, პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ეთიკურ პრინციპებზე შეთანხმება, ცესკოს ორგანიზებით, პირველად განხორციელდა.

დოკუმენტზე ხელმომწერი პირები შეთანხმდნენ, რომ დაიცავდნენ საქართველოს კანონმდებლობას, პატივს სცემდნენ და აღიარებდნენ კანონის უზენაესობას, იმოქმედებდნენ საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, დემოკრატიული მმართველობის პრინციპების და საზოგადოების ინტერესების დაცვით, საქმიანობას აწარმოებდნენ ეთნიკური, რელიგიური, გენდერული თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, არ გამოიყენებდნენ სიძულვილის ენას, ქსენოფობიურ ან მუქარის შემცველ გამონათქვამებს, ხელს შეუწყობდნენ მშვიდობიან საარჩევნო გარემოს, არ მიმართავდნენ ძალადობას და არც მოუწოდებდნენ მისი გამოყენებისკენ. მხარეები, ასევე, შეთანხმდნენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას, ხელს არ შეუშლიდნენ კონკურენტების წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებსა და სააგიტაციო მასალის გავრცელებას, განზრახ არ გაავრცელებდნენ ყალბ ინფორმაციას სხვა კანდიდატების შესახებ, აწარმოებდნენ ინკლუზიურ საარჩევნო კამპანიას, რომელშიც ჩართვის შესაძლებლობაც თანაბრად ექნებოდათ ქალებს, ახალგაზრდებსა და მოწყვლად (დაუცველ/ნაკლებად დაცულ) ჯგუფებს, არ გამოიყენებდნენ ადმინისტრაციულ რესურსებს, არ ეცდებოდნენ ამომრჩევლების მოსყიდვას და მათ დაშინებას, აწარმოებდნენ საგნობრივ პროგრამასა და გეგმებზე დამყარებულ დებატებს და თავს შეიკავებდნენ პიროვნული შეურაცხყოფისგან.[28]





საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების „ეთიკის პრინციპები“

28 საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების „ეთიკის პრინციპების“ დოკუმენტი იხილეთ ბმულზე: http://cesko.ge/res/docs/20181018130835.pdf

მიზანი 3. ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინფორმირება

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, შშმ პირების ინფორმირების მიზნით, მომზადდა სპეციალური ვიდეორგოლი ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ[29]. ცესკოს მიერ მომზადებული ყველა ვიდეორგოლი, სურდოთარგმანის თანხლებით, განთავსდა ცენტრალური და რეგიონული ტელევიზიების ეთერში. საარჩევნო პერიოდში, ცესკოს საინფორმაციო ბრიფინგები შუქდებოდა სურდოთარგმანით. ცესკოს ვებგვერდზე განთავსებული იყო ინფორმაცია არჩევნებისთვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტებისა და კანდიდატების შესახებ. ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის, ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორები, ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს აწვდიდნენ ინფორმაციას საარჩევნო საკითხების შესახებ, ვიდეოზარის მეშვეობით.

ცესკოს წარმომადგენლებმა, საქართველოს ყრუთა კავშირში, გამართეს შეხვედრა ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებთან და მიაწოდეს ინფორმაცია ვიდეოზარის სერვისის გამოყენებისა და ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი მონაცემების გადამოწმების შესაძლებლობის შესახებ. ამასთან, აღნიშნული სერვისის შესახებ, მომზადდა საინფორმაციო პლაკატი და ყრუთა კავშირთან თანამშრომლობით, გავრცელდა საქართველოს მასშტაბით, ყრუთა კავშირის ოფისებში.

ცესკოს ვებგვერდი ხელმისაწვდომია უსინათლო და მცირემხედველი, ხოლო სწავლების ცენტრის ვებგვერდი – უსინათლო პირებისთვის.





შეხვედრა ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებთან

29 ვიდეორგოლი იხილეთ ბმულზე: http://cesko.ge/geo/video_gallery/show/1629/583

საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა (ტრენერი, ოლქი/უბანი) გადამზადება ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის შესახებ

ცესკომ და სწავლების ცენტრმა განაახლეს სასწავლო ინსტრუქცია, შშმ ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ. ინსტრუქციის მიხედვით, პირველად, მომზადდა ვიდეორგოლი უსინათლო, მცირემხედველი, ყრუ, მობილობის შეზღუდვის მქონე (ეტლით მოსარგებლე), ზედა კიდურების არმქონე და ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირების მონაწილეობით[30]. სწავლების ცენტრის მიერ, 2018 წელს შემუშავებული ტრენინგების ახალი კონცეფციის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციის სასწავლო პროგრამაში, მოხდა პრაქტიკული სწავლების კომპონენტის შემოღება, რომელიც, ასევე, ითვალისწინებდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის აღნიშნული ინსტრუქციისა და ვიდეორგოლის ჩვენებით მომზადებას.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, სწავლება გაიარა საარჩევნო ადმინისტრაციის 181-მა ტრენერმა, 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 827-მა წევრმა, 3 637 საუბნო საარჩევნო კომისიის 9 663-მა ხელმძღვანელმა პირმა და 25 355-მა წევრმა. შშმ ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ ინსტრუქტაჟს დაეთმო 30 წუთი.

საგრანტო პროექტები შშმ პირთა ინფორმირებისთვის

2018 წელს, ცესკომ, საგრანტო კონკურსის დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, შშმ პირების, მონაწილეობის ხელშეწყობა არჩევნების პროცესში. საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, სწავლების ცენტრმა, დააფინანსა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების სამი პროექტი. პროექტების საერთო ბიუჯეტი შეადგენდა 65 457 ლარს.

საარჩევნო უბნებში შშმ პირებისთვის შეთავაზებული სერვისები

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის (I და II ტური), კენჭისყრის დღეს, შშმ ამომრჩევლებისთვის ყველა საარჩევნო უბანზე ხელმისაწვდომი იყო შემდეგი სერვისები: უსინათლო ამომრჩევლებისთვის – საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა; მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის – ორი ცალი გამადიდებელი ლინზა; ყრუ, სმენადაქვეითებული და ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ამომრჩევლებისთვის – კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი; მობილობის შეზღუდვის მქონე (ეტლით მოსარგებლე) ამომრჩევლებისთვის – 1 268 ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე, ხმის მიცემის სპეციალური კაბინა.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, ცესკომ მოამზადა სპეციალური საინფორმაციო ვიდეორგოლი ეთნიკური უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ, რომელიც ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ამასთან, ცესკოს მიერ მომზადებული 17 საინფორმაციო ვიდეორგოლი ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და განთავსდა რეგიონული ტელევიზიების ეთერში. სომხურენოვან გაზეთში „ვრასტანი“

30 ვიდეორგოლი იხილეთ ბმულზე: http://cesko.ge/geo/list/show/114594-shezghuduli-shesadzleblobis-mqone-pirebi

და აზერბაიჯანულენოვან გაზეთში „გურჯისტანი“, ცესკომ გამოაქვეყნა ინფორმაცია ხელმისაწვდომი სერვისებისა და კენჭისყრის დღის პროცედურების შესახებ. ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში, სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ოპერატორები უზრუნველყოფდნენ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას.

ცესკოს ვებგვერდზე, კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებს, ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი მონაცემების გადამოწმება შეეძლოთ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

საარჩევნო დოკუმენტაცია ეთნიკური უმცირესობების ენებზე

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები, სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ამომრჩევლებისთვის, ქართულ-სომხურ და ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე, ითარგმნა და დაიბეჭდება საარჩევნო ბიულეტენი, ამომრჩეველთა ერთიანი სია, ბიულეტენის შევსების წესი და კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი.

ასევე, სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის, ითარგმნა და დაიბეჭდა ყველა საჭირო მასალა, რომელიც განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე, ბანერში – „ეთნიკური უმცირესობები“.

საგრანტო პროექტები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირებისთვის

2018 წელს, ცესკომ, საგრანტო კონკურსის დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად, განსაზღვრა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში. სწავლების ცენტრმა, საგრანტო კომისიის გადაწყვეტილებით, დააფინანსა არასამთავრობო ორგანიზაციების 10 პროექტი, რომლებიც განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. პროექტების ბიუჯეტმა შეადგინა 219 062 ლარი.

შეხვედრა ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლეს კომისართან

18 სექტემბერს, ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა, გამართეს შეხვედრა ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლეს კომისართან. ცესკოს თავმჯდომარემ დელეგაციის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობისთვის განხორციელებული საქმიანობის, კერძოდ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის ინფორმირების კამპანიის, საგანმანათლებლო პროექტების, კენჭისყრის დღეს ხელმისაწვდომი სერვისების, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის საარჩევნო დოკუმენტაციის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭომ, საქართველოში ტოლერანტული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს, სოფიო სიჭინავას, მიანიჭა ტოლერანტობის ქომაგის წოდება.

მიზანი 4. გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა

გენდერული თანასწორობის ასპექტები საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ სასწავლო პროგრამებსა და მასალებში

სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგანმანათლებლო პროექტების – „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“, „საარჩევნო განვითარების სკოლა“ და „იურიდიული კლინიკა“ სასწავლო მოდულებში გენდერული საკითხების ასახვა. ასევე, 2018 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის ასპექტები აისახა რეგიონული და ცენტრალური მედიასაშუალებების წარმომადგენელთა ტრენინგ-პროგრამაში.

საერთაშორისო კონფერენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა“

16-17 აპრილს, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, ცესკოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ წარადგინა ცესკოს ადაპტირებული ვებგვერდი და ისაუბრა შშმ პირების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის კუთხით, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე.

ტრენინგი „საარჩევნო სისტემები და გენდერული კვოტირება“ საქართველოს პარლამენტის წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისთვის

საქართველოს პარლამენტის აპარატსა და ცესკოს სწავლების ცენტრს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, მომზადდა და 25-26 ივნისს, საქართველოს პარლამენტის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს, ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე „საარჩევნო სისტემები და გენდერული კვოტირება“. ტრენინგის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: არჩევნების საერთაშორისო სტანდარტები, საარჩევნო სისტემის ელემენტები და კლასიფიკაცია, საარჩევნო სისტემის პრინციპები და მახასიათებლები, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის ზოგადი მიმოხილვა, პროპორციული საარჩევნო სისტემის ზოგადი მიმოხილვა, შერეული საარჩევნო სისტემის ზოგადი მიმოხილვა, არჩევნები და გენდერული პოლიტიკა, გენდერული კვოტირება.

სასწავლო კურსი გაიარა საქართველოს პარლამენტის აპარატის 18-მა წარმომადგენელმა.

საერთაშორისო კონფერენცია „გენდერული თანასწორობა არჩევნებში – მეტი ძალისხმევა საარჩევნო ადმინისტრაციების მხრიდან“

11-12 ივლისს, ცესკოს ინიციატივითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში, მონაწილეობა მიიღო შვიდი ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის, 13 საერთაშორისო ორგანიზაციისა და ოთხი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის, 45-მა წარმომადგენელმა[31], ასევე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწემ ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში. კონფერენციაზე, განიხილეს შემდეგი საკითხები: ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით, არსებული გამოწვევები და მათი ჩართულობის ხელშემწყობის ფაქტორები, საარჩევნო ადმინისტრაციის როლი, გენდერული ბალანსის უზრუნველყოფაში, არსებული საერთაშორისო ვალდებულებები და ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.





საერთაშორისო კონფერენცია „გენდერული თანასწორობა არჩევნებში – მეტი ძალისხმევა საარჩევნო ადმინისტრაციების მხრიდან“

31 შვიდი ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაცია: საქართველო, ლატვია, ბელარუსი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, რუმინეთი, უკრაინა. 13 საერთაშორისო ორგანიზაცია: ევროპის საბჭო (CoE), აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD), დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტი (International IDEA), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES), საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), ქალები საარჩევნო ადმინისტრაციებში (WEM International, ორგანიზაციის ერთ-ერთი თანადამფუძნებელია ცესკო), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლესი კომისარი საქართველოში, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი (Heinrich Boell Foundation). ოთხი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გენდერული თანასწორობის ქსელი, ქალთა საინფორმაციო ცენტრი, ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი.

საერთაშორისო პროგრამა „ქალთა პოლიტიკური გაძლიერება“

18-28 ივნისს, ცესკოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანმა, ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამის, MASHAV-ის ფარგლებში, გაიარა სწავლება შემდეგ საკითხებზე: წინააღმდეგობების იდენტიფიცირება ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში, წინააღმდეგობის აღმოფხვრის სტრატეგიების განვითარება, ქალები პოლიტიკაში და სოციალურ ორგანიზაციებში, ქალების წახალისება და მხარდაჭერა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ცესკოს წარმომადგენელმა, კურსის მონაწილეებს გააცნო საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის, გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ განხორციელებული საქმიანობა.

გენდერული თანასწორობის საკითხის გათვალისწინება ან/და ხელშეწყობა, საგრანტო კონკურსების ორგანიზებისას

საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, 16 აპრილს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის დაფინანსების ერთ-ერთ მიმართულებად ცესკომ განსაზღვრა – მოწყვლადი ჯგუფებისა და ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის. აღნიშნული მიმართულებით, დაფინანსდა ოთხი პროექტი, დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 72 774.4 ლარი.

საარჩევნო ინფორმაცია გენდერული შემადგენლობის მიხედვით

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის (I და II ტური), ცესკომ დაამუშავა გენდერული სტატისტიკა შემდეგ საკითხებზე: ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებულ პირთა შესახებ, აქტივობა სიიდან, არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლები, საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი კანდიდატები, დამკვირვებლები, მედია და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები, საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა (ცესკო, ოლქი, უბანი). აღნიშნული ინფორმაცია, ქართულ და ინგლისურ ენებზე, ცესკომ გამოაქვეყნა ვებგვერდზე, ბანერში „გენდერული სტატისტიკა“.



04

სტრატეგიული პრიორიტეტი 4

საარჩევნო ოპერაციები

სტრატეგიული პრიორიტეტი 4: საარჩევნო ოპერაციები

მიზანი 1. არჩევნების ორგანიზება/ჩატარება

2018 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა შემდეგი არჩევნები:

- 28 აპრილს – საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები;
- 13 მაისს – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები;
- 28 ოქტომბერს და 28 ნოემბერს – საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები (I და II ტური);
- 28 ოქტომბერს – თერჯოლისა და სამტრედიის საარჩევნო ოლქებში, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების შუალედური არჩევნები.

საარჩევნო ადმინისტრაციამ, საარჩევნო პროცესი წარმართა კანონმდებლობის სრული დაცვითა და დამტკიცებული საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის შესაბამისად. ცესკომ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, საქართველოს პარლამენტს, წარუდგინა ჩატარებული არჩევნების შესახებ ანგარიშები, გარდა ამისა, ანგარიშები გამოქვეყნდა ცესკოს ვებგვერდზე.

არჩევნების ჩასატარებლად საჭირო ინვენტარი/მასალები

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფისთვის, ამომრჩეველთა განახლებული რაოდენობისა და არსებული მარაგების გათვალისწინებით, განისაზღვრა არჩევნების ჩასატარებლად შესაძენი საქონლის/მომსახურების რაოდენობა/მოცულობა. ცენტრალიზებულად განხორციელდა არჩევნებისთვის საჭირო ინვენტარის განაწილება საოლქო საარჩევნო კომისიებზე.

საარჩევნო პერიოდში, სულ გაფორმდა 389 ხელშეკრულება, მათ შორის, განხორციელდა 32 (8%) ელექტრონული ტენდერი, 49 (13%) – კონსოლიდირებული ტენდერი, 78 (20%) – გამარტივებული შესყიდვა, 230 (59%) – გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. შესყიდულ იქნა შემდეგი ინვენტარი: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა უნიფორმები (63 598 ლარი), ბეიჯები დამკვირვებლების, საარჩევნო სუბიექტებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის (168 974 ლარი), ბიულეტენის კონვერტები (143 288 ლარი), კარტრიჯები საუბნო საარჩევნო კომისიისთვის (55 741 ლარი), მარკირების სითხე (112 030 ლარი), მრავალფუნქციური საბეჭდი მოწყობილობა (100 940 ლარი), საარჩევნო კაბინები

(67 842 ლარი), ქაღალდი A4 (129 050 ლარი), ოფსეტური ქაღალდი ბიულეტენებისთვის (68 200 ლარი), პლანშეტური კომპიუტერები, საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის (127 995 ლარი), ელექტრო გამათბობლები საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის (55 590 ლარი).

ასევე, განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი შესყიდვები: ცესკოს სტამბისთვის, საბეჭდი მოწყობილობა Xerox D136, 50 ცალი პრინტერი, 76 ცალი პერსონალური კომპიუტერი, 76 ცალი კომპიუტერის კვების წყარო, 500 ცალი პლანშეტი.

ამომრჩეველთა ერთიანი სია

2018 წელს, ცესკომ უზრუნველყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 31-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ყველა უწყებიდან, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ამომრჩეველთა შესახებ გადმოცემული მონაცემების დამუშავება (ძირითადი და ფაქტობრივი მისამართების ინტეგრირება ცესკოს მონაცემთა ბაზასთან) და ამომრჩეველთა სიის ფორმირება. 2018 წელს, ამომრჩეველთა ერთიანი სია 10-ჯერ განახლდა:

- 1 თებერვლის მდგომარეობით – 3 453 661 ამომრჩეველი;
- საქართველოს პარლამენტის, 28 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის – 48 072 (პირველადი), 48 123 (საბოლოო) ამომრჩეველი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 13 მაისის შუალედური არჩევნებისთვის – 2 823 (პირველადი), 2 819 (საბოლოო) ამომრჩეველი;
- 1 მაისის მდგომარეობით, ამომრჩეველთა სიაში დაფიქსირდა – 3 456 363 ამომრჩეველი. 15 ივლისის მდგომარეობით – 3 459 031 ამომრჩეველი;
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების I ტურისთვის – 3 503 113 (პირველადი), 3 518 877 (საბოლოო) ამომრჩეველი, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების II ტურისთვის – 3 528 658 ამომრჩეველი.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, დამუშავდა, საარჩევნო ოლქებიდან შემოსული ამომრჩევლების განცხადებები და განხორციელდა სტატუსების მიწერა („იმყოფება უცხოეთში“, „გარდაცვლილია“) და უბნის ცვლილება. შემოსული განცხადებების დამუშავების შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები: დაკმაყოფილდა – 1 186, არ დაკმაყოფილდა – 171 განცხადება.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში, პირადი და ოჯახის წევრების მონაცემებისა და საარჩევნო უბნის ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად, ცესკოს მიერ შეთავაზებული სერვისებით, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პირველ და მეორე ტურში, ამომრჩეველმა ისარგებლა 1 817 261-ჯერ, აქედან, ცესკოს ვებგვერდის voters.cec.gov.ge საშუალებით – 1 778 705-ჯერ, სწრაფი გადახდის ტერმინალით – 17 439-ჯერ, Android და iOS ოპერაციული სისტემის გამოყენებით – 21 117-ჯერ.

მიზანი 2. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება

განახლებული სასწავლო პროგრამები საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის

საქართველოს პარლამენტის 28 აპრილის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 მაისის შუალედური არჩევნებისთვის, სწავლების ცენტრის ტრენერებმა უზრუნველყვეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების კვალიფიკაციის ამაღლება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 მაისის შუალედური არჩევნების დროს, ცესკომ გამოიყენა ხმის მიცემისა და დათვლის სპეციალური აპარატი, რომლის გამოყენების შესახებ, სპეციალური ტრენინგები ჩაუტარდათ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, სწავლების ცენტრმა შეიმუშავა ტრენინგების ახალი კონცეფცია, რომელიც, განიხილეს ტექნიკური სამუშაო ჯგუფის წევრ საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. კონცეფცია ითვალისწინებდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების პროფილური პროგრამებით სწავლებას, რომლის საფუძველზეც, საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელმა პირებმა და დანარჩენმა წევრებმა (ცხრა წევრი), მიიღეს თავიანთი კომპეტენციის შესაბამისი ცოდნა. შემუშავდა ახალი პრაქტიკული სავარჯიშოები, მათ შორის, გამოწვევებად დასახელებულ საკითხებზე: ხმების დათვლის პროცესი და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსება.

4-25 სექტემბერს, სწავლების ცენტრმა ჩაატარა ტრენერთა ტრენინგი საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებისთვის. გადამზადებულმა ტრენერთა კორპუსის 15-მა წარმომადგენელმა უზრუნველყო სასწავლო პროგრამის ჩატარება საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის, ხოლო 181-მა ტრენერმა – საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის.

არჩევნების პირველი ტურისთვის, სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა ტრენერებმა, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის, ტრენინგები ერთ, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის – ოთხ ეტაპად ჩაატარეს. ასევე, დამატებითი ტრენინგები ჩაუტარდათ საუბნო საარჩევნო კომისიების შეცვლილ (ახალ) წევრებს.

22 ოქტომბერს, სწავლების ცენტრმა ჩაატარა ტრენინგი სპეციალური ჯგუფის წევრებისთვის, რომლებმაც, ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში მომსახურე, საქართველოს მოქალაქეების საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების მიზნით, უზრუნველყვეს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მომზადება-გამართვა ბაგრამისა და მაზარი-შარიფის საარჩევნო უბნებზე.





ტრენინგები საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის

დისტანციური სასწავლო პროგრამა

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, სწავლების ცენტრმა განაახლა და ვებგვერდზე განათავსა დისტანციური სასწავლო პროგრამა, რომელიც დაინტერესებულ პირებს, კენჭისყრის დღის პროცედურებისა და საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობის წესის შესახებ, ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას აძლევდა. პროგრამაში ინტეგრირებული იყო ტესტური დავალებები.

სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, სწავლების ცენტრმა შეიმუშავა სახელმძღვანელო ინსტრუქციები და თვალსაჩინო მასალები არჩევნებში ჩართული მხარეებისა და საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის. სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან თანამშრომლობით, უზრუნველყო მათი თარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, ხოლო საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, ინგლისურ ენაზე. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის მომზადებული სახელმძღვანელო ინსტრუქციებისა და პოსტერების ჩამონათვალი იხილეთ ცხრილში (5).

ცხრილი 5.

N	სახელმძღვანელო ინსტრუქციისა და პოსტერის დასახელება	ენა
1	საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია	ქართული/ინგლისური
2	საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია	ქართული/ინგლისური/სომხური/ აზერბაიჯანული
3	კენჭისყრის დღის პროცედურები	ქართული/ინგლისური
4	საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია	ქართული/სომხური/აზერბაიჯანული
5	საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს	ქართული/სომხური/აზერბაიჯანული
6	ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები	ქართული/სომხური/აზერბაიჯანული
7	ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები	ქართული/სომხური/აზერბაიჯანული
8	საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები	ქართული/სომხური/აზერბაიჯანული
9	გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრის ფუნქციები	ქართული/სომხური/აზერბაიჯანული
10	დამხმარე სახელმძღვანელო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისთვის	ქართული
11	დამხმარე სახელმძღვანელო, მედიის წარმომადგენლებისთვის	ქართული
12	ამომრჩევლის სამახსოვრო	ქართული/სომხური/აზერბაიჯანული
13	საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის ამსახველი პოსტერი	ქართული/სომხური/აზერბაიჯანული
14	სასწავლო მოდული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის „არჩევნების უსაფრთხოება“	ქართული/სომხური/აზერბაიჯანული
15	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ ინსტრუქცია	ქართული/სომხური/აზერბაიჯანული
16	ფოტო-ვიდეო გადაღება, საარჩევნო უბანზე	ქართული

მიზანი 3. არჩევნების შედეგების გასაჯაროება უმოკლეს დროში



ცესკოს პრეს-სპიკერი, ანა მიქელაძე

2018 წელს გამართული, ყველა არჩევნების წინასწარი და საბოლოო შედეგები, ცესკომ საზოგადოებას, დროულად მიაწოდა.

- საქართველოს პარლამენტის 28 აპრილის შუალედური არჩევნების წინასწარი შედეგები, ყველა საარჩევნო უბნის მიხედვით, ცესკოს პრეს-სპიკერმა 29 აპრილს, 01:30 საათზე სპეციალურ ბრიფინგზე წარადგინა;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 13 მაისის შუალედური არჩევნების, წინასწარი შედეგები, ცესკოს ვებგვერდზე, გამოქვეყნდა კენჭისყრის დღის 23:40 საათზე;
- რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს, ცესკოს თავმჯდომარემ, არჩევნების წინასწარი შედეგები, თავდაპირველად, 29 ოქტომბერს, 01:00 საათზე 512, ხოლო 10:30 საათზე – 3 703 საარჩევნო უბნის მიხედვით, სპეციალურ ბრიფინგებზე წარადგინა. არჩევნების მეორე ტურს, არჩევნების პირველადი შედეგები, ცესკოს თავმჯდომარემ, 28 ნოემბერს 23:48 საათზე 1 181 საარჩევნო უბნის მიხედვით, სპეციალურ ბრიფინგებზე, წარადგინა, ხოლო წინასწარი შედეგები, ცესკოს პრეს-სპიკერმა 29 ნოემბერს 11:00 საათზე – 3 702 საარჩევნო უბნის მიხედვით.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცესში

2017 წლიდან, ცესკომ დაიწყო მუშაობა ახალ ინიციატივაზე, რაც გულისხმობდა საქართველოს არჩევნების ისტორიაში პირველად, არჩევნების დროს, რეალურ პრაქტიკაში, კვლევაზე დაფუძნებული საპილოტე პროექტის განხორციელებას. პროექტი ითვალისწინებდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, კენჭისყრის დღეს, ხმის დათვლის პროცედურის ელექტრონულად ჩატარებას. პირველ ეტაპზე, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების გამოსავლენად, საარჩევნო ადმინისტრაციამ შეისწავლა

თანამედროვე საერთაშორისო „კარგი პრაქტიკა“, გამართა სამუშაო შეხვედრები, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და საარჩევნო ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ კომპანიებთან. მოამზადა ხმების ელექტრონული დათვლის, 2019-2020 წლების პროექტის, კონცეფცია.

3 მარტს, ცესკოში გაიმართა შეხვედრა კანადის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია DELLIAN Project-ის აღმასრულებელ დირექტორთან, რომელმაც დეტალურად აღწერა კანადასა და აშშ-ში, საარჩევნო ბიულეტენების დათვლის მანქანის მუშაობის პროცესი, ასევე, განიხილა ელექტრონული ხმების დათვლის ტექნოლოგიის გამოყენების უპირატესობები და შესაძლებლობები. ცესკოში იმსჯელეს ზემოაღნიშნული ტექნოლოგიის, საქართველოში, დანერგვის პერსპექტივისა და ამ კუთხით, საარჩევნო პროცესის განვითარების შესახებ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 მაისის შუალედური არჩევნების დროს, საარჩევნო ადმინისტრაციამ, კანადის საერთაშორისო ორგანიზაცია DELLIAN Project-თან თანამშრომლობით, პირველად, გამოიყენა ხმების დათვლის პროცესში, ელექტრონული აპარატები. ცესკომ დადგენილებით განსაზღვრა შესაბამისი პროცედურა. ელექტრონული აპარატების მიერ, აბსოლუტური სიზუსტით, იქნა აღქმული და დათვლილი ის ბიულეტენები, რომლებიც ამომრჩევლების დიდი უმრავლესობის მიერ შესაბამისი მეთოდოლოგიის დაცვით იქნა შევსებული. ამასთან, ამომრჩეველთა ნაწილმა, ტრადიციული წესით, შემოხაზა ბიულეტენი და არ გამოიყენა ხმის მიცემის ის მეთოდოლოგია, რომელიც თავსებადი იქნებოდა ელექტრონულ ტექნოლოგიებთან. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით დათვლილ მონაცემებს ჰქონდა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი, ხოლო არჩევნების შედეგების დათვლა თითოეულ საარჩევნო უბანზე განხორციელდა ხელით, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომლებიც შემდგომში აისახა საუბნო შემაჯამებელ ოქმებში. თანამედროვე ტექნოლოგიებით ჩატარებული საარჩევნო პროცესის კვლევის შედეგები გაზიარებული და განხილული იყო პოლიტიკური პარტიების, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საარჩევნო ტექნოლოგიების საპილოტედ გამოყენებასთან დაკავშირებით ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლება და ნდობის განმტკიცება, რისთვისაც, საარჩევნო ადმინისტრაციამ, ეფექტური საინფორმაციო კამპანია ჩაატარა როგორც ჩართული მხარეების, ისე ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამომრჩევლებისთვის. ცესკოში, გაიმართა არაერთი საინფორმაციო შეხვედრა, რომელზეც, ცესკოს თავმჯდომარემ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ხმების ელექტრონული დათვლის ტექნოლოგიის საპილოტე პროექტის მიზნების შესახებ, დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. გარდა ამისა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის, მოეწყო ხმების ელექტრონული დათვლის აპარატის მუშაობის პრეზენტაცია.

ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ახალი ტექნოლოგიებით ხმის მიცემის პროცედურების შესახებ, ამომრჩევლებთან შეხვედრები გამართა და ასევე, საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიებზე, განახორციელა კენჭისყრის დღის პრაქტიკული იმიტირება, ელექტრონული მანქანების გამოყენებით. თითოეულ ამომრჩეველს, ამომრჩეველთა ბარათებთან ერთად, გაეგზავნა ცესკოს თავმჯდომარის წერილი, დაგეგმილი საპილოტე პროექტის და კენჭისყრის დღეს ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ. ასევე, თითოეულ საარჩევნო უბანზე, საარჩევნო პროცედურები განმარტებული იყო როგორც სპეციალური საინფორმაციო პოსტერის, ისე ვიდეორგოლის საშუალებით.









ხმების დათვლის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების შესწავლა

მიზანი 4. ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდება

ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი

საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფდა ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში ჩართული სხვა მხარეებისთვის ინფორმირებას არჩევნების შესახებ, შესაბამის ინსტიტუციებსა და ამომრჩევლებს, დროულად წარუდგენდა არჩევნებთან დაკავშირებულ, ზუსტ ინფორმაციას. არჩევნების დროს, განსაკუთრებით ეფექტიანად მუშაობდა სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფდა ამომრჩეველთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას. საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით, ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იყო ქართულ, ინგლისურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და ჟესტურ ენებზე. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, სიახლე იყო არასამუშაო საათებში, ხმოვანი შეტყობინების დატოვებისა და ონლაინ ჩატის საშუალებით როგორც საქართველოდან, ისე საზღვარგარეთიდან, დაკავშირების შესაძლებლობა.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში დასაქმებული იყო 23 ოპერატორი, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე – სამი, აზერბაიჯანულენოვანი – ორი, სომხურენოვანი – ორი და ჟესტური ენის მცოდნე – ორი. ოპერატორებისთვის ჩატარდა სპეციალური სასწავლო კურსი.

ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის მომსახურებით, დაინტერესებულმა პირებმა, ისარგებლეს 34 053-ჯერ, მათ შორის განხორციელდა შემოსული სატელეფონო ზარი (20 817), ონლაინ ჩატი (8 841), გასული სატელეფონო ზარი (1 144), ხმოვანი საინფორმაციო სამსახური (1 226), არასამუშაო საათებში დატოვებული შეტყობინება (821), არასამუშაო საათებში დატოვებული ხმოვანი შეტყობინება (482), მოკლე ტექსტური შეტყობინება (551), ვიდეო ზარი ყრუ და სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის (117).

საჩივრების რეესტრი საოლქო საარჩევნო კომისიებში

საარჩევნო ადმინისტრაციამ უზრუნველყო საჩივრების რეესტრის სრულყოფა, რომლის საშუალებით, დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ საჩივრებთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება, კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით საარჩევნო კომისიის/ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიღება და დავასთან დაკავშირებით არსებული სასამართლო გადაწყვეტილების მოძიება. ამასთანავე, საჩივრების რეესტრში, ინფორმაციის დროულად და სრულყოფილად განსათავსებლად, საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის, ჩატარდა ტრენინგები.

არჩევნების შედეგები და სხვა საჯარო სტატისტიკური მონაცემები

არჩევნების შედეგებს, ცესკო აქვეყნებდა სპეციალურ ვებგვერდზე http://results.cec.gov.ge/. კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ, არჩევნების მართვის სისტემაში „არმასი“ ხორციელდებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების ატვირთვა. თითოეული საარჩევნო უბნის შემაჯამებელი ოქმი, მიღებისთანავე, იტვირთებოდა ვებგვერდზე. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დღეს, ცესკოში განხორციელდა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების, სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში შეტანის პროცესის ტრანსლირება 360 გრადუსიანი ვიდეოგადაღების ტექნოლოგიის მეშვეობით, ვებგვერდებზე www.youtube.com, www.cesko.ge და www.facebook.com. ნებისმიერ მსურველს ჰქონდა პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობა.



დაკსვნა

დასკვნა

საარჩევნო ადმინისტრაციის 2018 წლის სამოქმედო გეგმით, დაგეგნილი იყო 77 სხვადასხვა საქმიანობა, რომლებიც, ძირითადად, სრულყოფილად და დროულად შესრულდა.

ინდიკატორების შეფასების ჭრილში, სრულად განხორციელდა 70 საქმიანობა.
2018 წელს ნაწილობრივ განხორციელდა, შემდეგი ოთხი საქმიანობა და მათი შესრულება დაგეგმილია 2019 წელს:

- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შემუშავება, დანერგვა და სერტიფიცირება საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით;
- ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებს შორის, კომუნიკაციის სისტემის გაუმჯობესება საარჩევნო და არასაარჩევნო პერიოდში;
- მენტორინგის ინსტიტუტის დანერგვა;
- დაგეგმარებისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის შექმნა.

შეჩერდა ერთი საქმიანობის განხორციელება:

- შეიქმნა დასამუშავებელი სტატისტიკური მონაცემების კატალოგი, განისაზღვრა მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი, სტრუქტურული ერთეულები, შეგროვდა ინფორმაცია სტატისტიკური ინფორმაციის პროგრამულად დამუშავების შესახებ. განხორციელებული საქმიანობის შედეგად, გამოიკვეთა, რომ კატალოგის მიხედვით, სტატისტიკური ინფორმაციების უმრავლესობის დამუშავება, უკვე, ხდება სხვადასხვა ელექტრონული პროგრამით.

ვერ განხორციელდა ორი საქმიანობა:

- შიდაუწყებრივი აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შესრულების მონიტორინგი.
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების, ხანგრძლივი საარჩევნო პერიოდის გამო, ვერ განხორციელდა ძირითადი აქტივების, მარაგების, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების შერჩევითი ინვენტარიზაცია. საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია 2019 წელს.

გარდა გეგმით გათვალისწინებულისა, ცესკოს სტრუქტურულმა ერთეულებმა და სწავლების ცენტრმა განახორციელეს სხვა საქმიანობები, რომლებმაც, მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციურ გაძლიერებას, სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლებას, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განვითარებასა და ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციის, დროულად მიწოდებას.

ცესკომ შეაფასა ჩატარებული არჩევნების ორგანიზებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესი. მიღებული გამოცდილების საფუძველზე, გამოკვეთილი პრიორიტეტული საჭიროებები და განსახორციელებელი საქმიანობები, ასახა 2019 წლის სამოქმედო გეგმაში. 2019 წელს, სამოქმედო გეგმით გაწერილი სხვა მნიშვნელოვან აქტივობებთან ერთად, დაგეგმილია შემდეგი სიახლეებისა და ცვლილებების განხორციელება:

ეფექტური მართვის უზრუნველყოფა

- საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

ადამიანური რესურსების მართვა

- ცესკოს სტაჟირების, დასაქმების, სერტიფიცირებულ პირთა და საგანმანათლებლო პროგრამების (საარჩევნო განვითარების სკოლა, ადმინისტრატორის კურსები) დასაქმების ანალიზის ჩატარება;
- საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა კორპუსის განახლება და გადამზადება.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება

- ცესკოს სხდომების ელექტრონული მართვის შესაძლებლობის შესწავლა/დანერგვა.

სამოქალაქო და ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

- საჯარო მოხელეებისთვის, სასწავლო კურსის „საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსები“ განხორციელება.

თანამშრომლობა ჩართულ მხარეებთან

- ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საარჩევნო შესაძლებლობების ინსტიტუციური გაძლიერება.

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა

- ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის, საინფორმაციო პროექტის „ახალგაზრდული დებატ-კლუბი“ განხორციელება;
- შშმ პირებთან დაკავშირებული, საკანონმდებლო ცვლილებების შესაძლებლობების შესწავლა/განხილვა;
- გენდერული აუდიტის ჩატარება;
- ახალი საინფორმაციო რესურსის შექმნა გენდერული ჭრილში დამუშავებული საარჩევნო ინფორმაციის განსათავსებლად.

განვითარება გრძელდება

ცესკოს სტრუქტურული ერთეულები



საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი
გიორგი სეხნიაშვილი, დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული დეპარტამენტი
გიორგი ძაგანია, დეპარტამენტის უფროსი

სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტი
ელისაბედ ველიძე დეპარტამენტის უფროსი

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
ქეთევან დანგაძე, დეპარტამენტის უფროსი

საფინანსო დეპარტამენტი
ოთარ ბუსკივაძე, დეპარტამენტის უფროსი

ამომრჩეველთა სიების ფორმირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი
ავთანდილ ცისკარიძე, დეპარტამენტის უფროსი

კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი
სოფიო სიჭინავა, დეპარტამენტის უფროსი

შიდა აუდიტის დეპარტამენტი
ვალერიან მაისურაძე, დეპარტამენტის უფროსი

ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი
თამარ შუკაკიძე, დეპარტამენტის უფროსი

პრეს-სპიკერი
ანა მიქელაძე

თავმჯდომარის მრჩეველი
თამაზ შარმანაშვილი

ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი
კახაბერ ჭამურაშვილი

სსიპ – საარჩევნო სისტემების, განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
ნათია ზაალიშვილი, სწავლების ცენტრის დირექტორი

საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაციისა და
სსიპ საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა
და სწავლების ცენტრის
საქმიანობის
2018 წლის ანგარიში

WWW.CESKO.GE

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი